გაზეთი ზევრიას, „ვერსიას" ერთი

# ვერსია

ფასი 50 თეთრი

№82 (1108) 22 - 23 ივლისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ნიკოლოზ ვაშაკიძე: „ამ ხელისუფლების პირობებში, რუსეთთან სწორი პოლიტიკა ვერ გაკეთდება"

გვ. 5



# გადააქვთ თუ არა რუსთავის ავტობაზრობა მცხეთაში



რა ინფორმაციას ფლობენ მცხეთის მაჟორიტარი და გამგებელი და რას პასუხობს „ვერსიას" რუსთავის ავტობაზრობის მფლობელი

გვ. 3-4

„ასეთ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი, რადგან ისტორიული ზონა ავტობაზრობისთვის ნამდვილად მენანება"

„მე და ჩემმა უცხოელმა პარტნიორებმა ავაშენეთ ავტობაზრობა... გაკოტრების პირასაა ეს ბაზრობა, რომელ მონოპოლიებზე მესაუბრებით?"

„დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ რუსთავის ავტობაზრობაში ვანო მერაბიშვილის ინტერესები იკვეთება... მერაბიშვილმა პირდაპირ მითხრა, ფედერაციის პრეზიდენტობიდან უნდა გადადგეო..."

რა კავშირი აქვს მერაბიშვილს, კოდუებს, ახალაიებს, კირკიტაძესა და უდესიანს ავტოსკანდალთან

# ზურაბ ქვანია



## სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

გვ. 6

## ჯარისკაცი, სიყვარული, დაცვის ბიჭი და... პრეზიდენტი

გვ. 3



„პრეზიდენტი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს სამსახური აუცილებლად უნდა გამოეყოს ეროვნულ ბანკს"

გვ. 7















[redacted]

# გადააქვთ თუ არა რუსთავის ავტობაზრობა მცხეთაში

## რა კავშირი აქვს მერაბიშვილს, კოდუებს, ახალაიებს, კირკიტაძესა და უდესიანს ავტოსკანდალთან

[redacted]



# როდესაც ერთმორწმუნე მოცოცავს

[redacted]

*მე-3 გვერდიდან*

# გადააქვთ თუ არა რუსთავის ავტობაზრობა მცხეთაში

მანამდე, ყაზახეთში შემცირდა რეექსპორტი, რადგან ეს ქვეყანა 2011 წლიდან, ევრაზიული კავშირის წევრია. ევრაზიულ კავშირში კი წევრი ქვეყნებისთვის, ერთიანი საბაჟო ტარიფები მოქმედებს და მესამე ქვეყანასთან ვაჭრობის დროს, საკმაოდ მაღალი გადასახადებია დაწესებული. მოგვიანებით, ევრაზიულ კავშირს სომხეთიც შეუერთდა და რეალურად, საქართველოში ავტომობილების გაყიდვები მკვეთრად დაეცა. თუმცა გაყიდვების შემცირებამ ავტოდილერების ფინანსური მდგომარეობა გააუარესა და არა ავტობაზრობის, სადაც თითოეული ავტომობილის პარკინგზე ოფიციალური გადასახადია დაწესებული.

ავტობაზრობის გაყიდვის მიზეზი ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებს უკავშირდება. დღეს უკვე არავინ კამათობს, რომ რუსთავის ავტობაზრობაში ვანო მერაბიშვილის, გია უდესიანის, დავით კირკიტაძის, კოდუებისა და ახალაიების ინტერესები იკვეთება. სხვა ვერსიით, მოქმედმა ხელისუფლებამ ავტობაზრობის მფლობელებს 30 მილიონი შესთავაზეს, რათა ტერიტორია დაეთმოთ, მაგრამ მფლობელებმა ეს წინადადება არ მიიღეს და ავტობაზრობის აუქციონზე გაყიდვა გადაწყვიტეს.

ხშირ შემთხვევაში, უკრაინელი ინვესტორების ძირითად ბიზნესპარტნიორებად საქართველოში, სწორედ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები გვევლინებიან. ამიტომ გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ უკრაინულმა „პრივატ ჯგუფმა“ 2014 წლის ბოლოს ჯერ „პრივატბანკის“ ქართული ფილიალი გაყიდა, რომელიც „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა და ახლა უკვე ავტობაზრობასაც ყიდის.

„ვერსია“ „რუსთავის ავტობაზრობა AUTOPAPA“-ს დირექტორს, **ევგენი უსტინოვს** დაუკავშირდა, რომელმაც განგვიცხადა, რომ ავტობაზრობის გაყიდვა ავტომობილების რეექსპორტის შემცირებას არ გამოუწვევია. მისი თქმით, კავკასიის მასშტაბით, საქართველო ავტოჰაბის ფუნქციას ფოთისა და ბათუმის პორტების საშუალებით, კვლავ აგრძელებს. ევგენი უსტინოვი ამ მიმართულებებს პერსპექტიულად მიიჩნევს იმდენად, რამდენადაც სომხეთსა და აზერბაიჯანს შავ ზღვაზე გასასვლელი არ აქვთ და დაინტერესებულები არიან, რომ საკუთარი ტვირთების ტრანზიტისთვის საქართველოს ტერიტორია გამოიყენონ. მართალია, 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს ავტობაზრობის აქტივობა დაბალი იყო, მაგრამ 2015 წლის 6 თვის მონაცემებით, პირველადი ავტომობილების რეგისტრაციის ხარჯზე, აქტოვობა საგრძნობლად გაიზარდა. ევგენი უსტინოვის თქმით, ბოლო დროს, საქართველოში იაპონურ ავტომობილებზე მოთხოვნა გაიზარდა, რადგან ეს მანქანები ხარისხიანი და დაბალფასიანია. შესაბამისად, ქართველი მომხმარებელი თვეში, დაახლოებით, 4 000-მდე იაპონურ ავტომობილს იძენს.

**— ბატონო ევგენი, რა მიზეზით გადაწყდა რუსთავის ავტობაზრობის აუქციონის წესით გაყიდვა მაინცდამაინც ახლა?**

— პროექტი „რუსთავის ავტობაზრობა AUTOPAPA“, პრივატბანკისთვის არის არაპროპფილური, ანუ ეს აქტივი არ არის დაკავშირებული ჩვენი ბანკის მთავარ საქმიანობასთან. პრივატბანკი თავისი ძალისხმევის კონცენტრირებას უკრაინასა და ევროკავშირში საბანკო ბიზნესის განვითარებაზე აპირებს. საუბარია, ჩვენს ბანკებზე ლატვიასა და კვიპროსზე, ასევე პორტუგალიის, იტალიისა და გერმანიის ფილიალებზე.

როცა პრივატბანკს საქართველოში ჰქონდა თავისი ბანკი, ჩვენ გამოვიყენეთ ორივე პროექტის: ბანკისა და ავტობაზრობის სინერგია. ახლა განვიხილავთ შესაძლებლობას, მოვიზიდოთ პარტნიორი წილობრივი მონაწილეობით, რომელიც შეძლებს მიიღოს დამატებითი სარგებელი AUTORARA-ს პროექტში მონაწილეობით. მოლაპარაკებები მიმდინარეობს. აუქციონი ივლისის ბოლოს დასრულდება. თუ იქნება პრივატბანკისთვის საინტერესო წინადადება, მაშინ ეს უკანასკნელი მზადაა, განიხილოს ამ პროექტის აქტივების სრულად გაყიდვის საკითხი.

მიმდინარე წლის ივნისში, კომპანიამ PricewaterhouseCoopers, პროექტ „რუსთავის ავტობაზრობის AUTORARA“-ს ფინანსური და ბიზნესანალიზი მოახდინა. ანალოგი-კომპანიების მეთოდის გამოყენებით, განისაზღვრა პროექტის საბაზრო ღირებულების დიაპაზონი. PricewaterhouseCoopers-ის ექსპერტების მოსაზრებით, აღნიშნული პროექტის მაქსიმალური საბაზრო ღირებულება შეიძლება იყოს 76,9 მილიონ ლარამდე.

**— ხომ არ უკავშირდება ავტობაზრობის გაყიდვა იმ ფაქტს, რომ 2014 წლის ბოლოს, უკრაინული „პრივატბანკი საქართველოს“ აქციები „საქართველოს ბანკმა“ შეიძინა?**

— ეს სიმართლეა. ამ ორ ფაქტს შორის ურთიერთკავშირი არსებობს. საქართველოში პრივატბანკის ფილიალის გაყიდვა და რუსთავის ავტობაზრობა AUTORARA-ს გაყიდვა — ეს თანმდევი ნაბიჯებია იმ ერთი გადაწყვეტილების, რომელიც მიიღო პრივატბანკმა უკრაინაში. მიზეზების შესახებ კი, უკვე მოგახსენეთ.

## ავტობაზრობას მცხეთაში გადაიტანენ?

„ვერსიის“ წყაროს ინფორმაციით, ხელისუფლება რუსთავის ავტობაზრობის მცხეთის შესასვლელში გადატანას გეგმავს. თავის დროზე, თბილისი-წითელი ხიდის მაგისტრალური გზა ავტობაზრობის ტერიტორიისთვის იმიტომ შეარჩიეს, რომ საქართველოში იმპორტირებული ავტომობილების აზერბაიჯანსა და სომხეთში რეექსპორტი გაადვილებულიყო. მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანში რეექსპორტი შემცირდა, გადაწყვიტეს, ავტობაზრობისთვის სხვა ტერიტორია გამოენახათ და არც მეტი, არც ნაკლები — ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ისეთ საუნჯეს მიადგნენ, რომელსაც იუნესკო იცავს!

წყაროს ინფორმაცია „ვერსიამ“ საქმეში კარგად ჩახედულ, ერთ-ერთ გავლენიან, ყოფილ თანამდებობის პირთან გადაამოწმა, რომელმაც გვითხრა, რომ ასეთი გადაწყვეტილების შესახებ არ სმენია. თუმცა თუ ავტობაზრობის მცხეთაში გადატანა მაინც იგეგმება, მისი ინფორმაციით, ეს რამდენიმე ადგილზეა შესაძლებელი: **„სვეტიცხოვლის მოპირდაპირე მხარეს დიდი ტერიტორიაა. სავარაუდოდ, შესაძლებელია, ავტობაზრობა იქ განთავსდეს, რადგან აუთვისებელი და დაუტვირთავი მიწის ნაკვეთია. შესაძლოა, საუბარი იყოს ჯვრის მონასტრისა და წინამურს შორის არსებულ ნაკვეთებზე, რომლებიც ფაქტობრივად, ჯვრის არეალია და სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების გარდა, ვერაფერში გამოიყენებთ. ნატახტარის მიმდებარედ, დასავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთში, ანუ ვლადიკავკაზში მიმავალ გზაზე, მცხეთა-გუდაურის მიმართულებით, ამ ორ გზას შორის, დაახლოებით, 50 ჰა-მდე არასასოფლო-სამეურნეო მიწაა. შესაძლოა, ესეც გამოიყენონ, თორემ მცხეთის გარშემო, მიწის დიდი ფართობის მოძიება ძნელად წარმომიდგენია. ზოგადად, ასეთ გადაწყვეტილებას არ მივიღებდი, ვინაიდან ის ტერიტორიებიც კი, რომლებიც ჩამოგითვალეთ, იმდენად ისტორიულ ზონაშია განთავსებული, რომ ავტობაზრობისთვის ნამდვილად მენანება. არადა, ავტობაზრობის რუსთავში განთავსება სტრატეგიულად, აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება იყო. სომხეთისა და აზერბაიჯანის, ასევე კახეთისა და ქვემო ქართლის მიმართულებით, ასეთი ბაზრობის არსებობა, საქართველოსთვის დიდი ფუფუნებაა. იმის გამო, რომ ყაზახეთი და სომხეთი ევრაზიული საბაჟო კავშირის წევრები არიან, საქართველოდან ავტომობილების გაყვანა შეიზღუდა, თორემ რუსთავის ტერიტორიაზე ავტობაზრობის მოწყობა, სტრატეგიულად უმნიშვნელოვანესი იყო“.**

„ვერსია“ საქართველოს პარლამენტის წევრს, მცხეთის მაჟორიტარ დეპუტატს, **დიმიტრი ხუნდაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც რუსთავის ავტობაზრობის მცხეთაში შესაძლო გადატანის ფაქტი კატეგორიულად უარყო: **„ასეთი რამ პირველად მესმის თქვენგან. მცხეთაში ავტობაზრობის გადატანა არ იგეგმება!“**

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია კიდევ ერთ თანამდებობის პირთან გადავამოწმეთ. „ვერსია“ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, **ზურაბ აბესაძეს** დაუკავშირდა, რომელმაც დიმიტრი ხუნდაძის მსგავსად, გვიპასუხა, რომ ამ ფაქტის შესახებ პირველად ჩვენგან შეიტყო და მცხეთაში ავტობაზრობის მოწყობის შესახებ გადაწყვეტილება არავის მიუღია.

## ექსმაღალჩინოსნების ინტერესები ავტობაზრობაში

კულუარული ინფორმაციით, „რუსთავის ავტობაზრობის“ გაყიდვის შემდეგ, ეს ფუნქცია ავტოჰაუსებს დარჩება. კერძო მფლობელები კუთვნილ ავტომანქანებს ინტერნეტის საშუალებით გაყიდიან, ან ავტოჰაუსებში მიიყვანენ. შედეგად, მანქანებიც გაძვირდება და ავტოჰაუსების შემოსავალიც გაიზრდება. ამ ყველაფრის უკან რამდენიმე პირის ინტერესი იკვეთება, მათ შორის ერთ-ერთი გია უდესიანია, რომელსაც ამგვარი ინტერესი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუშიც კი არ დაუმალავს. ჟურნალისტის, ეკა სეხნიაშვილის კითხვაზე: — „ავტოჰაუსი რუსთავის“ ბიზნესში, თქვენს თანაპარტნიორად დავით კირკიტაძეს ასახელებენ... მონოპოლისტად მიგიჩნევენ ამ სფეროში“, გია უდესიანმა უპასუხა: **„მე და ჩემმა უცხოელმა პარტნიორებმა ავაშენეთ ავტობაზრობა. ჩადით ახლა და ნახეთ, რამდენი მანქანა დგას იმ ბაზრობაზე, გადახედეთ სხვა ავტობაზრობებსაც რუსთავში, იქ რამდენი დგას. გაკოტრების პირასაა ეს ბაზრობა, რომელ მონოპოლიებზე მესაუბრებით?“...**

**ნაციონალური მოძრაობის კონკრეტულად რომელი მაღალჩინოსნის ინტერესები იკვეთება „რუსთავის ავტობაზრობაში“? „ვერსიას“ თბილისის საკრებულოს ფრაქცია „დემოკრატიული მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი და საქართველოს საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი, შალვა ოგბაიძე ესაუბრება:**

**— ბატონო შალვა, რუსთავის ავტობაზრობის გადატანაზე თუ გსმენიათ რამე?**

— ვიცი, რომ რუსთავის ავტობაზრობის გაყიდვა სურთ, მაგრამ გადატანაზე არაფერი მსმენია. არ გამაგიჟოთ, ამხელა ტერიტორიას სად გადაიტანენ ან სხვაგან გადატანას რა აზრი აქვს?!

**— ერთ-ერთი ვერსიით, რუსთავის ავტობაზრობის მფლობელებს, დაახლოებით, 30 მილიონი დოლარი შესთავაზეს, რათა ტერიტორია დაეთმოთ. საუბრობენ გია უდესიანისა და დავით კირკიტაძის ინტერესებზეც...**

— გიდასტურებთ, რომ ავტობაზრობა 30 მილიონ დოლარად იყიდება. უდესიანისა და კირკიტაძის ინტერესზე რა გითხრათ, მაგრამ დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, რომ რუსთავის ავტობაზრობაში ვანო მერაბიშვილის ინტერესები იკვეთება. 2006 წელს, მიხეილ სააკაშვილმა ეკონომიკის მაშინდელ მინისტრს, ირაკლი ჩოგოვაძეს გაუგზავნა რეზოლუცია, რომლითაც ავტოდრომი საავტომობილო ფედერაციისთვის უნდა გადმოეცა. ზუსტად ერთ თვეში, პირადად ვანო მერაბიშვილმა დამირეკა, შსს-ში მიმიწვია და მაკეტი მაჩვენა, რომელიც მაგიდაზე ედო. ეს იყო ავტობაზრობის კონტური და მომსახურების სააგენტოს სერვისცენტრის მაკეტი, მაგრამ მასზე ავტოდრომი ვერ დავინახე. როდესაც ვანო მერაბიშვილს ვკითხე, ავტოდრომი სად არის-თქო, ჩემს თვალწინ დაწერა წერილი, ღილაკს თითი დააჭირა და ადმინისტრაციის უფროსს, შოთა ხიზანიშვილს დაავალა, შალვა ოგბაიძეს მიეცით საბუთი, რომ ამ ტერიტორიაზე რბოლა ან შეჯიბრი პარასკევს საღამოს,



18.00 საათის შემდეგ, ასევე შაბათ-კვირას გამართონო. ამის შემდეგ, სააკაშვილს საჯაროდ მივმართე, აჩვენეთ ვანო მერაბიშვილს, ვინ არის პირველი ამ ქვეყანაში-მეთქი. მოკლედ, მერაბიშვილს უარი ვუთხარი და მორიგ შეხვედრაზე, დაახლოებით 10 კაცი დამახვედრა, მათ შორის, სააკაშვილის ბიძაშვილი ნიკა ალასანია, ასევე სპორტის დეპარტამენტის უფროსი ნამგალაური. მერაბიშვილმა პირდაპირ მითხრა, ფედერაციის პრეზიდენტობიდან უნდა გადადგე, ამ პოსტზე ნიკა ალასანია შეგცვლისო. ნიკა ალასანიას შევატყვე, რომ საქმის კურსში არ იყო. სხვათა შორის, თვითონაც მიხვდა, რომ აშკარად სხვაგან მოხვდა და აღარ უაქტიურია. მერაბიშვილმა ისიც მითხრა, უარის შემთხვევაში, შენც და შენს ოჯახსაც სერიოზული პრობლემები შეგექმნებათო. სწორედ ჩემი უარი გახდა მიზეზი, რომ საავტომობილო ფედერაციასა და ჩემს კუთვნილ „ლადა“-ს ცენტრში საგადასახადო შემოვიდა. ფედერაციაში აღურიცხავი 1 850 000 ლარი, „ლადას“ ცენტრში კი ანტიფრიზი „მიპოვეს“ და იმხელა ჯარიმა დამაკისრეს, იძულებული გავხდი, გადავმდგარიყავი. ამის შემდეგ, ჩემი მოვალეობის შემსრულებელი კანცელარიაში დაიბარეს, წერილი დააწერინეს, რომლითაც თხოვნით მიმართავს ეკონომიკის სამინისტროს, რათა ავტოდრომი დაიბრუნოს, რადგან იქ არსებული ინფრასტრუქტურა თითქოს ავტოდრომის მშენებლობისთვის არ ვარგოდა. ეკონომიკის სამინისტრომ ერთ დღეში „დაიბრუნა“ ავტოდრომი, რამდენიმე დღეში აუქციონი გამართეს და ეს ტერიტორია, 180 000 აშშ დოლარად, რუსეთიდან ჩამოსულმა ბიზნესმენმა, შოთა აფხაზავამ შეიძინა. სწორედ ჩემი უარის გამო დავკარგე ბინა, მიწის ნაკვეთი და ჩემი რძლის ბინაც, რომლებიც აუქციონზე გაყიდეს. გადარჩენილი ქონება დღესაც დაყადაღებულია და სააღსრულებო ბიუროდან წერილს წერილზე მიგზავნიან, აუქციონზე გაგიყიდითო. სამიოდე კვირის წინ ქალბატონ თეა წულუკიანს, სააღსრულებო ბიუროს თავმჯდომარეს იოსებ ბაღათურიას და პროკურატურასაც მივმართე, რათა ქონების გაყიდვის პროცესი შეეჩერებინათ. სხვათა შორის, ჩემი თხოვნა ყურად იღეს, რის გამოც მათ მადლობას ვუხდი, თუმცა წართმეული ქონების დაბრუნების კუთხით, ჩემთვის სამართლიანობა ჯერ არ აღმდგარა.

**— უდესიანი-კირკიტაძისა და მერაბიშვილის გარდა, კულუარებში ახალაიასა და კოდუას ინტერესებზეც საუბრობენ.**

— როდესაც მშობელს ავტოსპორტზე ბავშვი მოჰყავს, რომელიც ანთებული თვალებით შემოგყურებს, არც მე და არც ერთი პედაგოგი არ ვეკითხებით, ვისი შვილია. მხედველობაში მყავს, როგორც ანზორიკო და რეზიკო ბიწაძეები, ასევე გიორგი და ნოდარ კოდუები, რომლებიც არაჩვეულებრივი ახალგაზრდები არიან. გულწრფელად გეტყვით, შეჯიბრზე ხშირად ვხედავდი ერეკლე კოდუას, ქალბატონ ლაურა ღაჭავას, რომლებიც ავტოდრომზე შვილების საგულშემატკივროდ ჩამოდიოდნენ. როდესაც საავტომობილო ფედერაციას უზარმაზარი ჯარიმა დააკისრეს და უფლებამოსილება მოვიხსენი, ერეკლე კოდუა ამ ფედერაციის კოლეგიის წევრი გახდა. ამის შემდეგ, ნაციონალებმა ახალი ფედერაცია ჩამოაყალიბეს, რომლის პრეზიდენტი ცსკ-ს მაშინდელი თავმჯდომარის მოადგილე დავით კირთაძე გახდა, ვიცე-პრეზიდენტები — ნაციონალების იდეოლოგი ლევან თარხნიშვილი და საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდ-ის წევრი ლევან გახელაძე, დამფუძნებლები კი ნაციონალური მოძრაობის საკრებულოს დეპუტატი მიხეილ ქავთარაძე და ფინანსთა მაშინდელი მინისტრის მოადგილე გიორგი ჯავახიშვილი იყვნენ. ამ ფედერაციას ჩვენი მრბოლელები ნაციონალურ ფედერაციასაც უწოდებდნენ. როგორც გითხარით, ავტოდრომიცა და ფედერაციაც, შოთა აფხაზავამ შეიძინა და სხვათა შორის, ინვესტიციაც ჩადო. ეს ის აფხაზავაა, რომელმაც ავტოდრომის გახსნაზე სააკაშვილი „გაასეირნა“. როგორც ქართლ-კახეთში ამბობენ, სააკაშვილი დანახვის „ციცო“ იყო — იგივეს იმეორებდა, რასაც პუტინი აკეთებდა. პუტინმა რომ წელსზემოთ გაიხადა, ამანაც გაიხადა, პუტინმა სპორტული ტანსაცმელი ჩაიცვა და სააკაშვილმაც ჩაიცვა. ის ჩემი ცოდვით სავსე პუტინი „ფორმულაში“ რომ ჩაჯდა, სააკაშვილიც ჩასვა აფხაზავამ. ისე, საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია — FIA-მ, ჩემს უფლებებში აღმადგინა და ძველი ფედერაციის პრეზიდენტი, ისევ FIA-ს წევრი ვარ. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე მუშაობა, ახალგაზრდების აღზრდა და გზებზე მოძრაობის ჯანსაღი წესების პოპულარიზაცია მევალება.

# „ამ ხელისუფლების პირობებში, რუსეთთან სწორი პოლიტიკა ვერ გატარდება“

## რას უკავშირებს რუსეთის მცოცავ ანექსია საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ნიკოლოზ ვაშაკიძე



ნინო კომახიძე
599-95-33-16

**რუსეთის მხრიდან მცოცავი ანექსია გრძელდება. კიდევ ერთხელ რატომ გააქტიურდა კრემლი მაინცდამაინც ახლა, რა ქვეტექსტები უნდა ამოვიკითხოთ ცხინვალის კაგებეს სამსახურის ოფიციალურ განცხადებაში, რამდენად ეფექტურია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაობა და რა ნაბიჯები უნდა გადადგას საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოელი მეზობლისკენ? „ვერსიას“ საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე, საზოგადოებრივი მოძრაობა „ივერიის“ ერთ-ერთ თანადამფუძნებელი ნიკოლოზ ვაშაკიძე ესაუბრება.**

**— რუსეთი მცოცავ ანექსიას აგრძელებს. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა რეაქციამ ამ თემაზე (რუსეთთან ურთიერთობა გაუმჯობესდა, წინ წავიწიეთ და ა.შ.) დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. როგორ აფასებთ და რას უკავშირებთ მომხდარს?**

— შეგახსენებთ, რომ რუსეთმა ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარა 2008 წლის სექტემბერში. მას შემდეგ საკმაო დროა გასული და რუსეთს საოკუპაციო ხაზის „საზღვრის“ სახით დაფიქსირება დიდი ხანია შეეძლო. სწრაფად და ერთიანად. მიუხედავად ამისა, ამას ნელ-ნელა და პერიოდულად აკეთებს. აშკარაა, ამ ქმედებებს რუსეთი იყენებს საქართველოზე და მის შიდაპროცესებზე ზემოქმედების მიზნით, საჭიროებისამებრ, თავისი შეხედულებების მიხედვით. ამჯერად, რუსეთის მიზანია, დაიყოლიოს საქართველო უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ დათმობებზე. ესენია: რკინიგზის აფხაზეთის მონაკვეთის ამოქმედება და საქართველოს შეყვანა ევრაზიულ კავშირში. საოკუპაციო ზოლზე მორიგ პროვოკაციას უძღვოდა მოსკოვში ნინო ბურჯანაძის ვოიაჟი, რომელსაც რუსებმა მოსკოვთან დაახლოვებისა და დიალოგის მესიჯები გააჟღერებინეს. პრაქტიკულად, მეორე დღეს კრემლმა უკვე ხისტი მესიჯის სახით ამას საოკუპაციო ზოლზე ჩატარებული ქმედებები მოაყოლა. ეს მოვლენები ურთიერთკავშირშია და ერთი გეგმის ნაწილი გახლავთ. მიზანი ისაა, რომ დაგვანახონ — ან დაიწყებთ ჩვენთან საუბარს სერიოზულ დათმობებზე, ან გაგირთულებთ ცხოვრებას. სამწუხაროდ, ამ კომბინაციას საქართველოს ხელისუფლების მხრიდან სწორედ რუსული სცენარის მიერ გათვალისწინებული ქმედება მოყვა — ვიცე-პრემიერმა კახი კალაძემ რუსეთთან ორმხრივი დიალოგის ახალი ფორმატის დაწესების აუცილებლობა გააჟღერა.

**— გაჩნდა აზრი, რომ რუსეთის ეს მოქმედებები ხიდაშელის მიერ საფრანგეთთან დადებული ხელშეკრულების პასუხია. ეთანხმებით ამ მოსაზრებას და თუ ასეა, ქართულ-ფრანგული სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების მომავალ ეტაპზე, გველის თუ არა უფრო დიდი საფრთხე რუსეთისგან?**

— რუსეთის ქმედება, ჩემი აზრით, ქართულ-ფრანგულ თანამშრომლობას არ უკავშირდება... არ მგონია, რუსეთს ეს პროცესი დიდად აღელვებდეს. საჰაერო თავდაცვის აშენება ხანგრძლივი და ძვირადღირებული პროცესია. არავინ იცის, საბოლოოდ, შეიძენს თუ არა ეს თანამშრომლობა დასრულებულ სახეს. ჩემ მიერ აღნიშნული რუსეთის გეგმები საქართველოს მიმართ, ვფიქრობ, უფრო ახლო პერსპექტივაზეა გათვლილი. გარდა ამისა, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ იმ პირობებში, როცა რუსეთის სამხედრო ძალები უკვე საქართველოს შუაგულშია განლაგებული ოკუპირებულ ტერიტორიებზე, ვშიშობ, საჰაერო თავდაცვა, რუსეთის სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, სერიოზულ როლს ვერ შეასრულებს.

**— ასევე, არსებობს მოსაზრება, რომ ამ მოქმედებებით რუსეთი საქართველოში ოლიმპიადის ჩატარებით გამოწვეულ უკმაყოფილებას გამოხატავს...**

— არ მგონია, ახალგაზრდული ოლიმპიადა ამ მოქმედებებთან რაიმე კავშირში იყოს.

**— ორჭოსანის მიმდებარე ტერიტორიაზე, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გარკვეული ნაწილი ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოექცა. ეს რა საფრთხეებთანაა დაკავშირებული და რა შეიძლება გააკეთოს ქართულმა მხარემ? რამდენად სწორია განცხადებები, რომ „მილი ღრმადაა ჩამარხული“, „6 მეტრით აქეთ გადმოვწიოთ“ და ა.შ. თუ სწორად მესმის, ამ ნაწილში მილსადენის დაცვის პრეროგატივა ჩვენს ხელისუფლებას აქვს, ეს განცხადებები ამ გამოწვევის ადეკვატურია?**

— ნავთობსადენის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცევა მეტად უსიამოვნო მოვლენაა. კარგად მესმის, რომ ხელისუფლებას ეს ფაქტი სერიოზულ დისკომფორტს უქმნის, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, რაღაც უნდა უთხრას მოსახლეობას და სურს, მის ნათქვამში გარკვეული დამამშვიდებელი გზავნილები იყოს. ეს არის, რაც მოიფიქრეს, მაგრამ მგონი, გასაგებია, რომ ხელისუფლების არგუმენტები რეალურად დამშვიდების საბაბს არ იძლევა.

**— ცხინვალის კაგებე-ს სამსახური, ე.წ. საზღვრის გადმოწევასთან დაკავშირებით, სპეციალურ განცხადებას აქვეყნებს, სადაც წერია, რომ ზნაურის, ცხინვალისა და ახალგორის რაიონის სოფლებში დამატებით იგეგმება საინფორმაციო ბანერების აღდგენა-დამონტაჟება, რაც გეგმური სამუშაო პროცესია. განცხადებაში წერია: „ეს ღონისძიებები სამხრეთ ოსეთის მხრიდან ცალმხრივად ტარდება იმის გამო, რომ 2012 წლიდან ოფიციალური თბილისი უარს აცხადებს ქვეყნებს შორის გამყოფი და რელიეფის სადემარკაციო ხაზის აღნიშვნაზე და ასევე, წარმოქმნილი სადავო საკითხებისას ურთიერთსასარგებლო გადაწყვეტილების მიღებაზე“. იქნებ, აგვიხსნათ, რას ნიშნავს ეს განცხადება, რა ხდებოდა 2012 წლამდე და მას შემდეგ ამ მხრივ რა შეიცვალა?**

— 2012 წელი იმ კონტექსტშია ნახსენები, რომ დღევანდელი ხელისუფლებაც ისევე, როგორც ძველი, აგრძელებს „დესტრუქციულ“ პოლიტიკას. ეს, სინამდვილეში, არა სეპარატისტების, არამედ რუსების გზავნილია: მიუხედავად იმისა, რომ თქვენ რუსეთთან ახალი პოლიტიკა გამოაცხადეთ, ის რასაც თქვენ აკეთებთ, ჩვენთვის არასაკმარისია. სწორედ აქ ჩანს რუსეთთან ე.წ. დარბილების პოლიტიკის აბსურდულობა. რუსეთის მიზანია, სტრატეგიულად გატეხოს საქართველო, დაიმონოს და ვერანაირი პოლიტიკის „დარბილება“ ამ მიზანს ვერ შეაცვლევინებს. ეს „დარბილება“ ისევ საქართველოს ასუსტებს საერთაშორისო არენაზე რუსეთთან ამ მძიმე ბრძოლაში. ბუნებრივია, არანაირი „სადემარკაციო“ კონსულტაციები საქართველოს ხელისუფლების მხრიდან 2012 წლამდე არ იმართებოდა. ამაზე საუბარიც კი აბსურდულია.

**— სადემარკაციო ხაზი დროებითი საზღვარია დაპირისპირებულ მხარეებს შორის. განგვიმარტეთ, რატომ აცხადებს ქართული მხარე უარს მის გავლებაზე, ეს ხომ არ აძლევს რუსეთს საშუალებას, მუდმივად გადმოწიოს ე.წ. საზღვარი?**

— ეს ძალიან მძიმე და მტკივნეული საკითხია, რომელიც ღრმა ანალიზს და ყოველმხრივ აწონილ გადაწყვეტილებას მოითხოვს. მართალია, ღიად დატოვებული საოკუპაციო ხაზი ყოველთვის დარჩება მუდმივი პროვოკაციების წყაროდ. არ არის გამორიცხული, სჯობდეს, ქართულმა მხარემ თავად გაამაგროს ეს ხაზი და, თუნდაც, დანაღმოს ის, რომ პროვოკაციებისაგან მაქსიმალურად დავიცვათ თავი. ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ხაზი უკიდურესად საშიშ სიახლოვეში იმყოფება ქვეყნის დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ სტრატეგიულ გზატკეცილთან, მაგრამ ვიმეორებ — ეს რთული და მტკივნეული გადაწყვეტილებაა და ამას ყოველმხრივი მიდგომა, საფუძვლიანი ანალიზი და სერიოზული მომზადება სჭირდება.

**— მინდა გკითხოთ, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილ მოადგილეს, რამდენად ეფექტურად მუშაობს ჩვენი საგარეო უწყება მსოფლიოს ინფორმირებისთვის, ვიყენებთ თუ არა არსებულ ყველა მშვიდობიან ბერკეტს რუსეთის წინააღმდეგ?**

— საგარეო საქმეთა სამინისტრო დღეს სულ ტალეირანებით რომ იყოს დაკომპლექტებული, გაუჭირდება, იყოს ისეთივე ეფექტური, როგორც ადრე, რადგან დღეს ბუნდოვან საგარეო-პოლიტიკურ კურსს ემსახურება და აქ მთავარი პრობლემა რუსეთის მიმართ გაუგებარი „დარბილების“ პოლიტიკაა. ქვეყნის ოფიციალური პოლიტიკური ხელმძღვანელობა სუსტად ერკვევა საგარეო პოლიტიკაში და პრიმიტიული შეხედულებებით ხელმძღვანელობს. გაურკვეველია პრეზიდენტის როლი ამ ყველაფერში და უკიდურესად საზიანოა მისი პრობლემური ურთიერთობა პრემიერ-მინისტრთან. ვიცე-პრემიერ კახი კალაძის პირადი პოლიტიკური დღის წესრიგი, და მისი საგარეო-პოლიტიკური განზომილება კიდევ ერთი პრობლემაა. განსაკუთრებულ პრობლემას, რა თქმა უნდა, არაფორმალური ლიდერის და არაფორმალური მმართველობის არსებობაა. ასეთ ვითარებაში, პრინციპულად შეუძლებელია საგარეო საქმეთა სამინისტრო იყოს ეფექტური. საერთოდ, მინდა გითხრათ, რომ მოცემულ პირობებში სამინისტროში საქართველოს სტრატეგიული ინტერესების დაცვა ეფექტურად შესაძლებელი რომ ყოფილიყო, მე არ დავტოვებდი ჩემს თანამდებობას 2013 წლის იანვარში. მე სულ რაღაც 1-2 თვეში დავინახე ის, რასაც ბევრი სხვა 1-2 წელიწადში მიხვდა.

**— რამდენად შედეგიანია აბაშიძე-კარასინის შეხვედრების ფორმატი და ზოგადად, მართებულად თუ მიგაჩნიათ, როცა რუსეთის მხრიდან პროვოკაციები გრძელდება, ოკუპანტ ქვეყანას ოკუპირებული ქვეყნის წარმომადგენელი სავაჭრო ურთიერთობებზე, ვაშლსა და მწვანილზე ესაუბროს? თუ არა, მაშინ არსებობს კონტრარგუმენტი, რომ ეს ურთიერთობის ერთადერთი ფორმატი და ცივილური გზაა და მისი არარსებობის შემთხვევაში, წინ ვერაფრით წავიწევთ.**

— კარასინი-აბაშიძის ფორმატი ამკვიდრებს მავნე ილუზიას საერთაშორისო არენაზე იმის შესახებ, რომ ჩვენ რუსეთთან პოზიტიურ და კონსტრუქციულ დიალოგში ვიმყოფებით მაშინ, როცა ამ თვალსაზრისით, არსებითად არაფერი იცვლება და უფრო უარესდება კიდეც. თავად რუსები დასცინიან ამ ფორმატს. ყოველი რაუნდის წინ ისინი თვალსაჩინოდ მორიგ შეურაცხმყოფელ აგრესიულ ნაბიჯს დგამენ საქართველოს მიმართ: ან მოაწერენ ხელს მორიგ ხელშეკრულებას სეპარატისტულ რეგიონებთან, ან მაღალი თანამდებობის პირის ვიზიტს განახორციელებენ იქ, ან საოკუპაციო ხაზს გადმოწევენ და ა.შ. ამ ფორმატის შედეგად საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ექსპორტის რუსეთზე მიბმის მავნე და სახიფათო პოლიტიკური და ეკონომიკური შედეგები უკვე ვიგრძენით. ვინმემ დამისახელოს ის „პოზიტივი“, რომელიც ამ ფორმატს ჩვენთვის მოაქვს. იმ არგუმენტებს, რომლებსაც, ამ თვალსაზრისით, პერიოდულად ზურაბ აბაშიძე აჟღერებს, სერიოზულად არ განვიხილავ.

**— რა ტიპის პოლიტიკა მიგაჩნიათ შექმნილ ვითარებაში ყველაზე სწორად რუსეთთან მიმართებაში?**

— შექმნილ ვითარებაში სწორი პოლიტიკა ვერ გატარდება. სწორ პოლიტიკას სწორი ხელისუფლება სჭირდება. სწორი პოლიტიკის გატარების შანსი ჩვენ შეიძლება მხოლოდ 2016 წლის არჩევნების შემდეგ მოგვეცეს. სწორი პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ საქართველოს ოკუპაციის თემა ისევ გახდეს აქტუალური საერთაშორისო არენაზე და ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები რუსეთისგან დღეს არა მხოლოდ უკრაინის დეოკუპაციას მოითხოვდნენ მკაფიოდ, არამედ საქართველოს პრობლემატიკაც იყოს მჭიდროდ და ნათლად ასახული ამ კონტექსტში. ამისათვის კი აუცილებელია, რომ თავად საქართველო იცავდეს თავის ინტერესებს მტკიცედ და გასაგებად საერთაშორისო არენაზე და უწინდელივით ცოცხალი, დინამიური და არა მხოლოდ ფორმალური კონსულტაციების რეჟიმში იმყოფებოდეს სტრატეგიულ პარტნიორებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. გარდა ამისა, აუცილებელია სწორი და აქტიური პოლიტიკა ქვეყნის შიგნით. დაუშვებელია პრორუსული, პრაქტიკულად, დივერსიული ორგანიზაციებისა და პირების, მტრული აგენტურის ბოგინი, მითუმეტეს მაშინ, როცა ოკუპაციისა და შესაძლო აგრესიის საფრთხის წინაშე ვიმყოფებით. აუცილებლად ასაკრძალია რუსეთის სახელმწიფო არხების ტრანსლირება ჩვენს ტელეეთერში, რომლებიც პროპაგანდისა და იდეოლოგიური დივერსიის უკიდურესად საშიშ იარაღად გვევლინებიან. ეს უკვე ბევრმა სახელმწიფომ გააკეთა, მათ შორის, ბალტიისპირეთმა, უკრაინამ და მოლდოვამ. კარგად უნდა გვესმოდეს, რომ ოკუპანტის იდეოლოგიური დივერსიის ხელშეწყობა არის არა დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება, არამედ იდიოტიზმი და საკუთარი სახელმწიფოს მტრობა.

ვერსიანიუსი

# 200-მდე დასახელების მედიკამენტი შეიძლება გაიაფდეს



ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, მედიკამენტებზე ფასების დარეგულირების მიზნით, ამ ეტაპზე, ფარმაცევტული კომპანიებისთვის, ნამატზე მოგების ზედა ზღვარის დაწესებას არ განიხილავენ.

ჯანდაცვის მინისტრ დავით სერგეენკოს ინფორმაციით, 200-მდე მედიკამენტი, რომლებზეც ფასების დაწევაა შესაძლებელი, პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შემავალი მედიკამენტია.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, მედიკამენტები შეიძლება 50%-ით გაიაფდეს: **„ვაპირებთ, მომავალი წლისთვის, ასევე 1000-ზე მეტი დასახელების ქრონიკული დაავადების სამკურნალო პრეპარატებზე, მნიშვნელოვნად დავწიოთ ფასები. ამისთვის, ორი რამ არის საჭირო: თავიდან იყოს აცილებული ექიმების მიერ არასაჭირო, ბევრი წამლის გამოწერა და მეორე, კონკურენციის გაზრდა. ბაზარზე უნდა შემოვიდნენ ახალი მოთამაშეები. ეს ჩვენ არაერთხელ გვითქვამს. ამის შემაკავებელი ჯერჯერობით ერთადერთი ფაქტორია: ქვეყანას არ აქვს წამლის ხარისხის კონტროლის გამართული სისტემა და შესაბამისი ლაბორატორია. ვფიქრობ, შემოდგომისთვის ამის გაკეთებაც შესაძლებელი იქნება და ეს ორი ინსტრუმენტი ამ შესაძლებლობას მოგვცემს“.**

*„პირველი“*

# ზურაბ ჟვანია



## სკანდალური საქმე

სპეციალური რეპორტაჟი სასამართლო პროცესიდან

# ვინ და რატომ არ გასცა ზურაბ ჟვანიას გადაადგილების ინფორმაცია მისი სიკვდილის დღეს

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

თერთმეტის წუთებია, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას საქმეზე სამსახურეობრივ გულგრილობაში ბრალდებული მიხეილ ძაძამია საქალაქო სასამართლოშია და ვიღაცას ელოდება. ყოველთვის ადრე მოდის. დღესაც ასეა. მანქანების სადგომთან ადვოკატები ბექა ბასილაია და გელა ქენქაძე ხვდებიან. ინაწილებენ დოკუმენტებს, რომლებიც რამდენიმე დასტადაა დალაგებული და სასამართლოს კიბისკენ მოემართებიან.

სხდომა ნახევარი საათის დაგვიანებით დაიწყო. მოსამართლე ეკა არეშიძე აცხადებს, რომ დღეს ორ მოწმეს დაკითხავენ. ყველა ადგილზეა — ბრალდებულები, თორმეტივე ნაფიცი მსაჯული და ადვოკატები. სხდომას მხოლოდ ერთი პროკურორი ანი სიგუა არ ესწრება.

გასული პროცესისგან განსხვავებით დღევანდელ სხდომას ბევრი დამსწრე ჰყავს. ჟურნალისტები, საია-ს დამკვირვებლები, იურისტები და სტაჟიორები. პროცესს განსასჯელის, კობა ხარშილაძის მამა, და და ახლობლებიც ესწრებიან. ხარშილაძის მეორე და დარბაზის გარეთ იმყოფება და პროცესს პერიოდულად ფანჯრიდან ადევნებს თვალს — საქმის ერთ-ერთი მოწმეა და დარბაზში მისი ყოფნა აკრძალულია.

ბრალდების მხარის პირველი მოწმე **დავით ჯაფარიძეა** და სასამართლო დარბაზში ბადრაგის თანხლებით შემოდის. როგორც თავად ამბობს, იმ პერიოდში, როცა პრემიერი გარდაიცვალა, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელი იყო. ხარშილაძესა და ძაძამიასთან სამსახურებრივი მოვალეობა აკავშირებს. გარდაცვლილ პრემიერს პირადად იცნობდა და მისი ცხოვრების ბოლო 6 თვის განმავლობაში, მის პირად დაცვაში მუშაობდა. მას ჭკვიან და დადებით პიროვნებად ახასიათებს.

როგორც განაცხადა, 2005 წლის 2 თებერვალს საეჭვო არაფერი შეუნიშნავს. ჩვეულებრივი სამუშაო დღე იყო, რამდენიმე დეტალს თუ არ მივაქცევთ ყურადღებას. კერძოდ, მისმა მანქანამ იმ დღეს პირველად განახორციელა ცრუ ესკორტი, რაც მისი განმარტებით იმ შემთხვევაში კეთდებოდა, როდესაც ვინმესთვის თვალის ახვევა იყო საჭირო... დარბაზში სიჩუმეა.. პროკურორი მოწმეს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების დღეს მომხდარი მოვლენების დეტალურად გახსენებას სთხოვს: **„2 თებერვალს გასვლა შუადღემდე არ გვქონია. მოგვიანებით, „ლაგუნა ვერეზე“ გავედით, სადაც პრემიერი ვარჯიშობდა. საღამოს, დაახლოებით 11 საათზე კი შარტავას ქუჩის მიმართულებით დავიძარით. ბატონი ზურა იქ ცოტა ხანს გაჩერდა. მაქსიმუმ ნახევარი საათი. იქიდან რომ გამოვიდა, მანქანაში ალეკო ბობოხიასთან ერთად ჩაჯდა. როგორც მახსოვს, სულ 4 მანქანა იყო. ჩემი ცვლის უფროსი დათო დაღელაშვილი იყო, რომელმაც მითხრა, რომ ცრუ ესკორტი გამეკეთებინა. შემდეგ ბაგებში დავტრიალდით და კანცელარიისკენ წამოვედით. პრემიერი გზაში ჩამოგვშორდა. ზუსტი ადგილი არ მახსოვს. დაღელაშვილმა კანცელარიაში დაგვტოვა და გვითხრა, იქ დავლოდებოდით ბრძანებას, როგორ უნდა მოვქცეულიყავით. 5 საათი იქნებოდა, როცა დაგვირეკეს. ბობოხიამ გვითხრა, რომ განგაში იყო გამოცხადებული. კონკრეტული მიზეზი არ უთქვამს, მაგრამ გვითხრა, რომ რაღაც საგანგებო ხდებოდა. ჩვენ საბურთალოს ქუჩაზე ეკლესიის მიმართულებით დავიძარით. მაშინ მოვიდა ძაძამია და ეზოში შეგვიყვანა. მერე კობა გამოვიდა და გვითხრა, რომ პრემიერი გარდაცვლილი იყო“.**



ჯაფარიძის განცხადებით მაშინ, როდესაც ცრუ ესკორტი განახორციელა, ინფორმაცია პრემიერის გადაადგილების შესახებ „ცენტრი ერთისთვის“ არ უცნობებია. მიზეზი ის იყო, რომ ხელმძღვანელობას მისთვის მითითება არ მიუცია: **„იმ დღეს, ცენტრი ერთს მე ვაწვდიდი ინფორმაციას. ბოლო გადაადგილების გარდა, ყველაფერი შევატყობინე. ბოლო ინფორმაცია არ მივაწოდე იმიტომ, რომ არ იყო შესაბამისი ბრძანება. ეს ბრძანება ხელმძღვანელი პირებისგან უნდა ყოფილიყო. იმ დროს, როცა ცენტრი ერთისთვის უნდა შემეტყობინებინა, პრემიერი ბობოხიასთან ერთად იმყოფებოდა. ცენტრი ერთისთვის იმას უნდა შეეტყობინებინა, ვისაც პრემიერის გადაადგილების შესახებ ინფორმაცია ჰქონდა. ცენტრი ერთისთვის ინფორმაციის არმიწოდება დარღვევაა. რაც შეეხება ცრუ ესკორტს, პირველი შემთხვევა იყო, რომ ის გავაკეთე, რადგან მე სამ დღეში ერთხელ მიწევდა მუშაობა“.**

დაცვის მხარის და პროკურორების შეკითხვების ამოწურვის შემდეგ ნაფიცმა მსაჯულებმა კიდევ ერთხელ დაუსვეს მოწმეს ის კითხვა, რომელმაც დღევანდელ სხდომაზე არაერთხელ გაიჟღერა: რამდენად ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც ცენტრი ერთს არ ატყობინებდნენ პრემიერის გადაადგილებას? მოწმემ მსაჯულებს ისევ განუმარტა, რომ ეს ცრუ ესკორტის გაკეთების პირველი შემთხვევა იყო.

მოსამართლე ეკა არეშიძემ დარბაზში მეორე მოწმე, პაატა კიკნაძე გამოიძახა. ჟვანიას გარდაცვალების პერიოდში იგი ოპერატიულ ტექნიკური სამსახურის უფროსი იყო. წინა მოწმის მსგავსად განსასჯელებთან, ხარშილაძესა და ძაძამიასთან სამსახურეობრივი მოვალეობა აკავშირებდა. გარდაცვლილ პრემიერს კი პირადად არ იცნობდა.

სასამართლო სხდომაზე კიკნაძემ ტექნიკური სამმართველოს სამსახურის სპეციფიკის შესახებ ისაუბრა. მისი საუბრიდან გაირკვა, რომ დაცვის ობიექტების ტექნიკური შემოწმება არც ისე ზედმიწევნით ხდებოდა.

დაცვის მხარის შეკითხვებზე, განახორციელა თუ არა ტექნიკურმა სამსახურმა „ლაგუნა ვერეზე“ არსებული გათბობის სისტემების შემოწმება, მან უპასუხა, რომ — არა. გამათბობელი არც შარტავას ქუჩაზე, ჟვანიას დედის სახლში შეუმოწმებიათ; მეტიც, 14 წლის განმავლობაში მან ვერც ერთი შემთხვევა ვერ გაიხსენა, როდესაც ტექნიკურმა სამსახურმა, გამათბობლის სისტემა შეამოწმა.

დაცვის მხარის წარმომადგენელმა უარყოფითი პასუხი მიიღო იმ შეკითხვაზეც, რომელიც ტექნიკური საკითხების შესახებ თანამშრომლების გადამზადებას ეხებოდა. კერძოდ, იცოდნენ თუ არა ტექნიკური სამსახურის თანამშრომლებმა, როგორ უნდა შეემოწმებინათ ესა თუ ის გამათბობელი. კიკნაძემ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლების გადამზადების შემთხვევებს ვერ იხსენებდა.

მესამე რიგში მჯდომი სტაჟიორები მოწმის ჩვენებას განიხილავენ და ამბობენ, რომ ტექნიკური სამმართველო, საქართველოში არსებული სხვა სამსახურების მუშაობის ნათელი მაგალითია. ის, რაც თეორიულად უნდა მოხდეს, პრაქტიკაში იშვიათად ხორციელდება. პროცესი შედარებით მალე, დაახლოებით, დღის 14:00 საათზე დასრულდა, რადგან მესამე მოწმემ მოსვლა ვერ შეძლო. პროკურორის განმარტებით მას საპატიო მიზეზი ჰქონდა. მიხეილ ძაძამიასა და კობა ხარშილაძის საქმის მომდევნო განხილვა 22 ივლისს, 11:00 საათზეა ჩანიშნული.

## ვერსიანიუსი

### მთავარმა პროკურატურამ ოთხ მოქალაქეს უკანონოდ ჩამორთმეული ავტომობილები დაუბრუნა



მთავარმა პროკურატურამ დაზარალებულ ოთხ მოქალაქეს უკანონოდ ჩამორთმეული ავტომობილები დაუბრუნა. როგორც პროკურორმა, კოკა კაციტაძემ განაცხადა, პროკურატურის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და მთავრობის ერთობლივი მუშაობის შედეგად, დაზარალებულ მოქალაქეებს დაუბრუნდათ უკანონოდ ჩამორთმეული ავტომანქანები, რომლებიც მათ საკუთრებაში გადაეცათ: **„აღნიშნული ავტომანქანები საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, იძულებით დაათმობინეს საჯარო მოხელეების დანაშაულებრივი ქმედების შედეგად. რაც მთავარია, პროცესი, რომელიც პროკურატურაში შექმნილმა ახალმა დეპარტამენტმა დაიწყო, უკავშირდება 2012 წლის 1 ოქტომბრამდე პერიოდში იძულებით ჩამორთმეული ქონების დაზარალებულებისთვის უკან დაბრუნებას აქტიურად მიმდინარეობს და ამ პროცესს ექნება შეუქცევადი ხასიათი“.**

დაზარალებულ გივი თოდაძეს გადაეცა „რენჯ როვერის“ და „კრაისლერის“ მარკის ავტომობილები; დაზარალებულ გიორგი რეხვიაშვილს გადაეცა „მერსედეს-ბენც ML 350“ და „ჰიუნდაი სონატას“ მარკის ავტომანქანები, ხოლო შმაგი რატიანს და პარსამ ზალინიანს გადაეცათ „ფოლკსვაგენ პასატი“ ფირმის ორი ავტომანქანა. დაზარალებულ ივანე მახარაშვილს, პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების საფუძველზე, უძრავი ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებული პროცედურების დასრულების შემდეგ, გადაეცემა სოფელ დიღომში მდებარე 1020 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელიც დაზარალებულს უკანონოდ დაათმობინეს საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ.

*„ინტერპრესნიუსი“*

# მამულიჩას 7-14 წლამდე პატიმრობა ემუქრება

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

**რამდენიმე დღის წინ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მომღერალ ლელა წურწუმიას მეუღლის და პროდიუსერის, კახი მამულაშვილის, იგივე მამულიჩას დაკავების შესახებ ყველამ შეიტყო. მას ნარკოტიკული საშუალებების შეძენა, შენახვასა და საზღვარზე გადმოტანას ედავებოდნენ. ჩხრეკის შედეგად სამართალდამცავებმა მამულიჩას 6 გრამამდე კოკაინი, კანაფის ფისი და ე.წ ექსტაზი აღმოუჩინეს. დაკავებისას იგი ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა.**

## სასამართლო პროცესზე, კახა მამულაშვილის „შეწყალებას“, ქართულ შოუბიზნესში შეტანილი წვლილის გამო ითხოვდნენ




საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, ვფიქრობდი, რომ 20 ივლისს, თბილისის საქალაქოს სასამართლოში დაგეგმილი სხდომა, სადაც მოსამართლეს განაჩენი უნდა გამოეტანა, ხმაურით ჩაივლიდა და დამსწრეც ბევრი იქნებოდა, თუმცა მოლოდინი არ გამართლდა. სასამართლო პროცესზე არც ქართველი სელებრითები მინახავს და არც განსასჯელის ოჯახის წევრები. ერთადერთი, ვინც ქართველი ცნობილებიდან შევამჩნიე, მომღერალ სოფო ბედიას მეუღლე მიშა მესხი იყო. „ვერსიასთან“ კომენტარი მას არ გაუკეთებია, თუმცა განაჩენის მოლოდინში მყოფი მესხი მთელი პროცესის განმავლობაში სულგანაბული უსმენდა გამომსვლელებს.

20 ივლისს, პროცესზე, ჟურნალისტები, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, სტაჟიორები და საია-ს დამკვირვებლები ჭარბობდნენ. დერეფანში შეკრებილი ადამიანების საუბრიდან გავარკვიე — მათ ნაწილს, პროცესის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრეც კი არ სჯეროდა, რომ მამულიჩა ნამდვილად დაკავებული იყო. ამის მიზეზი ალბათ ისიც იყო, რომ მანამდე ლელა წურწუმიამ კომენტარი გააკეთა, ჩემი ქმარი საზღვარგარეთ არის, ნარკოტიკებთან არაფერი ესაქმება და თან, არც ის ტიპი ჰგავდა მამულიჩას, ვიდეოზე რომ ჩანდაო. ზოგი იმასაც ამბობდა, მამულაშვილი შოუბიზნესის წარმომადგენელია და მოსამართლემ ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, ხელოვანი რის ხელოვანია, ერთხელ მაინც თუ არ დაბოლდაო.

დერეფანში შეკრებილი ახალგაზრდები „ჩაშვების“ თემასაც აქტიურად განიხილავდნენ. მარიხუანას დეკრიმინალიზაციის საკითხმაც წინ წამოიწია, თუმცა საბოლოოდ, ყველა თანხმდებოდა, რომ მარიხუანას დეკრიმინალიზაციის შემთხვევაშიც კი, მამულიჩას მიერ ჩადენილი დანაშაული დასჯადი იქნებოდა და ამას აზრი არ ექნებოდა. სასამართლო პროცესზე ოჯახის წევრების და შოუბიზნესის სხვა წარმომადგენლების არგამოჩენა კი ყველას უკვირდა.

პროცესს მოსამართლე არსენ კალატოზიშვილი უძღვებოდა. სხდომა 10 წუთის დაგვიანებით დაიწყო. ბორკილდადებული მამულაშვილი სასამართლო დარბაზში სამმა ბადრაგმა შემოიყვანა. შავი მაისური ეცვა და ცოტა დაბნეულიც ჩანდა. როგორც გაირკვა, მას არც თარჯიმანი სჭირდებოდა, არც აცილებას ითხოვდა და არც უფლებების დარღვევის გამო ჰქონდა რაიმე პრეტენზია. მისი ერთადერთი თხოვნა ის იყო, სასამართლოს აღმკვეთი ღონისძიების სახით, გირაოს გადახდა შეეფარდებინა.

მამულიჩამ აღიარებითი ჩვენება მისცა და განაცხადა, რომ დანაშაულს, რომელიც გაუაზრებლად, ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ ჩაიდინა, ძალიან ნანობდა: **„მე არასოდეს შემომიტანია საქართველოში ნარკოტიკი. შეიძლება, დღევანდელ ამბავთან ამას კავშირი არ აქვს, მაგრამ არც ვეწევი და არც ვსვამ. თუმცა ყოფილა შემთხვევები, როცა უცხოეთში კოკაინი გამისინჯავს. ის რაოდენობა, რაც ახლა მქონდა, მივიჩნიე, რომ არ იყო ბევრი, რადგან ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ ვიყავი. ვინმესთან ერთად რომ ვყოფილიყავი, ასეთ რამეს არ ვიზამდი. ვერავინ იტყვის, რომ მანამდე ნარკოტიკთან რაიმე შეხება მქონდა. მე არ ვემალები გამოძიებას, სამართალდამცავებისთვის არანაირი წინააღმდეგობა არ გამიწევია. მეტიც, ალალად ვითანამშრომლე გამოძიებასთან და ვთქვი, რომ 800 ევრო გადავიხადე. რომ არ მეთქვა, ვერავინ დამიმტკიცებდა ეს საშუალებები ვიყიდე თუ მაჩუქეს. მე გავითავისე დანაშაული, რომელიც ჩემი უგნური ქმედების შედეგად ჩავიდინე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი თხოვნა, წინააღმდეგ შემთხვევაში, კანონს დავემორჩილები“.**

დაცვის მხარის წარმომადგენელმა ადვოკატმა **გიორგი ბეგიაშვილმა** განაცხადა, რომ მამულიჩას გამოძიებასთან თანამშრომლობა, მისი სოციალური სტატუსი და ოჯახური მდგომარეობა, მოსამართლეს აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინა. მან 10 ათასი ლარის ოდენობის გირაოს შუამდგომლობა დააყენა: **„ჩემი დაცვის მხარე სრულად აღიარებს დანაშაულს. აქედან გამომდინარე პატიებას იმსახურებს. მან ითანამშრომლა გამოძიებასთან, დიდი წვლილი აქვს შეტანილი შოუბიზნესის განვითარებაში. ჰყავს ოჯახი, ორი შვილი და ასაკოვანი მშობლები. ის არაა ნასამართლევი. გთხოვთ, შეუფარდოთ გირაო“.**

მამულიჩასა და ადვოკატის გამოსვლას დამსწრეებში განსაკუთრებული ემოციები მოჰყვა. მამულიჩას მხარდაჭერა დარბაზში აშკარად იგრძნობოდა. მოლოდინი, რომ მას კანონის მთელი სიმკაცრით გაასამართლებდნენ, ნაკლებად იყო. ეჭვი მაქვს, თავად განსასჯელსაც კი არ ჰქონდა ბოლომდე გააზრებული ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და შესაძლო შედეგები.

ამის შემდეგ, სიტყვით პროკურორი გამოვიდა, რომლის გამოსვლასაც ყველა სულგანაბული უსმენდა იმედით, რომ სანუგეშოს იტყოდა, თუმცა დაცვის მხარის შუამდგომლობას პროკურორი არ დაეთანხმა და განმარტა, მამულიჩას მიერ ჩადენილი დანაშაული იმდენად მძიმეა, რომ უალტერნატივოდ ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთასო.

„ვერსიასთან“ საუბრისას, პროკურორმა **გიორგი დავითაშვილმა** განაცხადა, ანგარიშის გაწევა იმის გამო, რომ მამულიჩამ გამოძიებასთან ითანამშრომლა, საფუძველსმოკლებულია, რადგან დაკავების დროს სამართალდამცავებმა მისი ჩხრეკა მხოლოდ იძულებითი გზით, ანუ მისი ნების საწინააღმდეგოდ შეძლესო. მისი განმარტებით, თავისუფლების აღკვეთის მოთხოვნის ერთ-ერთი საფუძველი ისიც იყო, რომ არსებობდა რისკი, მამულიჩა საზღვარგარეთ გამგზავრებულიყო და გამოძიებას მიმალვოდა: **„არსებობს რისკები, ბრალდებული გამოძიებას და სასამართლოს მიმალვოდა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ის გარემოება, რომ მას თავისუფლად შეუძლია მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში გადაადგილება. მისი დაკავებისას ჩხრეკა იძულებითი ღონისძიების ფარგლებში, ანუ მისი ნების საწინააღმდეგოდ ჩატარდა. მოხდა ნარკოტიკების ამოღება“.**

პროკურორის განმარტებით, მამულიჩას დაკავება ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოხდა, თუმცა დეტალებზე საუბრისგან მან თავი შეიკავა. მისი განცხადებით გამოძიება გრძელდებოდა, რადგან საჭირო იყო იმ პირების დადგენაც, რომლებსაც ამ საქმესთან საერთო ჰქონდათ: **„კახა მამულაშვილმა თავის ჩვენებაში განმარტა, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები პირადი მოხმარებისთვის ჰქონდა შეძენილი. დასადგენია ის პირები, ვისგანაც მან ნარკოტიკი შეიძინა და ის ვითარება, სადაც ამ ნარკოტიკების შეძენა მოხდა“.**

დღევანდელ სხდომაზე, რომელიც დაახლოებით 1 საათი გაგრძელდა, კახი მამულაშვილს პატიმრობა შეეფარდა. მას ნარკოტიკული საშუალებების უკანონო შეძენას, შენახვას და საქართველოში შემოტანას ედავებიან. დანაშაული 7-დან 14 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მომდევნო სასამართლო პროცესი 9 სექტემბერსაა ჩანიშნული.

ეკონომიკა

# დაუჭერს თუ არა მხარს მარგველაშვილი ეროვნული ბანკის შესახებ კანონში ცვლილებებს

## „პრეზიდენტი უნდა დარწმუნდეს, რომ ეს სამსახური აუცილებლად უნდა გამოეყოს ეროვნულ ბანკს“

გიორგი იაშვილი

მეოთხე დღეა, პარლამენტმა „ეროვნული ბანკის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებები დაამტკიცა. კენჭი ეყარა გამომდინარე პროექტებსაც. ცვლილებები ეროვნული ბანკის შემადგენლობიდან საბანკო სფეროს ზედამხედველობის სამსახურის გაყვანას ითვალისწინებს. კერძოდ, პროექტით, საფინანსო სექტორის სახელმწიფო საზედამხედველო ორგანო საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტო იქნება. ეროვნული ბანკის ფარგლებში მოქმედი საფინანსო სექტორის ზედამხედველობის კომიტეტი კი უქმდება. განხილვის პროცესში, პროექტით გათვალისწინებული რამდენიმე საკითხი შეიცვალა. მათ შორის ცვლილებები შეეხო სააგენტოს საბჭოს დაკომპლექტების წესსა და მისი ხელმძღვანელის არჩევას. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ კანონი ხელმოსაწერად პრეზიდენტს გადაეგზავნა, თუმცა მარგველაშვილი არ ჩქარობს და როგორც ამბობენ, ბატონი გიორგი ვეტოს უფლებას გამოიყენებს. მას ამისთვის ათდღიანი ვადა აქვს და გაჩნდა მოსაზრება, რომ იგი მაქსიმალურად გაწელავს ვადას. პარალელურად კი, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებული გიორგი ქადაგიძე ეროვნული ბანკის მეშვეობით ლარის კურსს უფრო დაწევს და მას 3.00 ნიშნულამდე დაიყვანს. ამ თემაზე კომენტარი ეკონომიკის ექსპერტებს ვთხოვეთ.

**მიხეილ დუნდუა:** — მეეჭვება, პრეზიდენტი ამას შეგნებულად აკეთებდეს. მეეჭვება, ვეტო საერთოდ გამოიყენოს. საქმე ისაა, რომ ამ კანონის მიღების აუცილებლობას ყველა ხედავს და ამიტომ, ეჭვები უსაფუძვლო მგონია.

**— ანუ, უახლოეს ათ დღეში ლარის კურსი რომ გაუფასურდეს, თქვენ კავშირს ვერ ხედავთ?**

— გამორიცხულია, ათ დღეში კურსი 3.00-ზე დაეცეს, ეროვნული ბანკიც კი ვერ მოახერხებს იმის მიუხედავად, რომ მცდელობა იყო და ყველამ ვნახეთ, რა დაემართა ლარს. ასეთ მოკლე დროში ეს გამორიცხულია.

**რამაზ გერლიანი:** — მგონია, რომ პრეზიდენტი კონსულტაციებს გადის. მას ჰყავს მრჩევლები და წესით, მათ რჩევა უნდა ჰკითხოს. თუ ვეტოს დადებას ფიქრობს, მაშინ შესაძლოა ეს სწორედ მრჩევლებს და კონსულტანტებს დააბრალოს. სხვაგვარად, დროის გაჭიანურების მიზეზს ვერ ვხედავ.



**— იქნებ ამ ათ დღეში ლარი ისე გაუფასურდეს, რომ ისტორიულ ნიშნულს გადასცდეს და ეს ეროვნულმა ბანკმა მოახერხოს?**

— ეროვნულმა ბანკმა ეს რამდენჯერმე სცადა, მაგრამ სახელმწიფოს ჩარევის შედეგად, რადიკალური ცვლილება კურსზე ვერ განახორციელა. სწორედ ამიტომ, უნდა დარწმუნდეს პრეზიდენტი, რომ ეს სამსახური აუცილებლად უნდა გამოეყოს ეროვნულ ბანკს. სხვაგვარად, მუდმივი საშიშროება იქნება, რომ ეროვნულ ბანკს ლარზე სერიოზული ზემოქმედება შეუძლია. კონკრეტულ შემთხვევაში კი ათი დღე ძალიან ცოტა დროა.

# როდის დასრულდება თბილისის ქუჩებში პანდუსების მონტაჟი

მაკა ლომაძე
555-27-95-13

**შვედეთის საელჩოს ორგანიზებით, თბილისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების შესახებ კონფერენცია ჩატარდა, რომელსაც დედაქალაქის მერის მოადგილეც ესწრებოდა. „ვერსია“ დაინტერესდა, რას აკეთებს ქალაქის მთავრობა ამ მიმართულებით. თავად შშმ პირები აცხადებენ, რომ სტიგმა მხოლოდ ზედაპირულადაა დაძლეული და მნიშვნელოვანი მაინც მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ასეთი პირების თვითშეფასება და ისაა, როგორ ექცევიან მათ ოჯახის წევრები. თბილისის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი რატი იონათამიშვილი ეტლით მოსარგებლეა. ამ ფონზე, მეტადაა მოსალოდნელი, რომ აღნიშნული საბჭოს მუშაობა წარმატებულიც იქნება და რაც მთავარია, ადრესატების ინტერესებზე მაქსიმალურად ორიენტირებული.**

**— შშმ პირების უფლებების დაცვის კონფერენციაზე რა რეკომენდაციები მიიღეთ?**

— გაერო-ს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის განხორციელებისა და მონიტორინგის საკითხებზე შვედეთის გამოცდილების გაზიარება უმნიშვნელოვანესია, რადგან მათ მსოფლიოში საუკეთესო მოდელი შექმნეს. მადლობა კონფერენციის ორგანიზატორებს და შვედ ექსპერტებს. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რამდენად მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღების პროცესში შშმ პირთა ორგანიზაციების ჩართულობა, მათთან მუდმივი კომუნიკაცია და თანამშრომლობა.

**— მერიაში ამ მიმართულებით დღეს რა პროექტები ხორციელდება და რა იგეგმება 2016 წელს?**

— თბილისის მერიაში ახალი გუნდის მოსვლის დღიდან შშმ პირებთან დაკავშირებული საკითხები პრიორიტეტულად გამოცხადდა. ამის ლოგიკური გაგრძელება იყო 2015 წლის გეგმებსა და ბიუჯეტზე მუშაობა. წელს არაერთი ნოვატორული პროგრამა დავიწყეთ. მათი უმეტესობა თავად შშმ პირთა ინიცირებულია. განსაკუთრებით მინდა გამოვყო უსინათლოთა პერსონალური ასისტენტით (გამცილებლით) მომსახურების პროგრამა. ჟესტური ენის პოპულარიზაციის მიზნით, ახალგაზრდა სურდო თარჯიმნების მომზადება დავიწყეთ. გარდა ამისა, თბილისის მერია პირველად გახდა დღის ცენტრების პროგრამის დაფინანსების თანამონაწილე. ცხადია, გვაქვს ამბიცია, რომ 2016 წელი მეტად აქტიური იყოს შშმ პირებისთვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიმართულებით. ამიტომ, ცალსახად აღვნიშნავთ, რომ შშმ პირთა წარმომადგენელი ორგანიზაციები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან არა მხოლოდ კონსულტაციის დონეზე, არამედ გადაწყვეტილების მიღების პროცესებშიც.

**— თავად შშმ პირები აცხადებენ, რომ მათ მიმართ სტიგმა მხოლოდ ზედაპირულადაა დაძლეული. თუ არის კონკრეტული ნაბიჯები გადადგმული ან დაგეგმილი, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისთვის?**

— ამ მიმართულებით მუშაობა თითოეული საჯარო მოხელისა თუ უწყების პირდაპირი მოვალეობაც არის. თბილისის მერია აქტიურად უჭერს მხარს შშმ პირთა საგანმანათლებლო-კულტურულ და სპორტულ ღონისძიებებს, იქნება ეს ინკლუზიური თეატრის პოპულარიზაცია, პარასპორტის განვითარება, ტრენინგებისა და სემინარების ორგანიზება (მათ შორის შშმ პირთა უფლებებზე) თუ სხვა. თუმცა, ისიც კარგად გვესმის, რომ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პროცესში, გადამწყვეტი ფაქტორი თავად შშმ პირთა აქტიურობა და ჩართულობაა. ჩვენ უნდა შევქმნათ შესაბამისი გარემო, რომ მათ თავისი პოტენციალის რეალიზება შეძლონ.



**— როდის გაკეთდება პანდუსები ყველა საჭირო ადგილას?**

— გზის სავალ ნაწილზე პანდუსების მშენებლობა უკვე დაწყებულია. პროცესი გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. მას კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური და რაიონული გამგეობები ხელმძღვანელობენ. ამ ეტაპზე, ტენდერები გამოცხადებულია გლდანისა და დიდუბის გამგეობების მიერ. 1000-ზე მეტი პანდუსი დამონტაჟდება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ყველა პანდუსი სტანდარტის დაცვით გაკეთდეს.



# კონსტანტინე გამსახურდია გეგეშიძე, გრიბოედოვი ან ჩოლოყაშვილი ჰგონიათ

მაკა ლომაძე
555-27-95-13

**ფალიაშვილის ქუჩაზე, 55-ე საჯარო სკოლასთან, „გეგეშიძის ბაღში“ კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლის ავტორი თენგიზ კიკალიშვილია, არქიტექტორი კი თამაზ თევზაძე გახლავთ. ძეგლი თბილისს 1983 წლიდან ამშვენებს. აღნიშნული სკვერი ახლა კონსტანტინე გამსახურდიას სახელობისაა, თუმცა ხალხი დღემდე „გეგეშიძის ბაღად“ მოიხსენიებს; მეტიც, ბაღის ეს სახელწოდება მოქალაქეებს ძვალ-რბილში იმდენად აქვთ გამჯდარი, რომ გამსახურდიას ძეგლიც კი გეგეშიძის ჰგონიათ. არადა, კონსტანტინე გამსახურდიას ფოტო, ერთხელ მაინც თუ გაქვს ნანახი, რომც არ იცოდე, მიხვდები, რომ ფალიაშვილზე, აღნიშნულ სკვერში, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი უდიდესი ქართველი მწერალი, ქართული სიტყვის მეხოტბე, „დავით აღმაშენებლის“, „დიდოსტატის მარჯვენის“, „მთვარის მოტაცების“, „დიონისეს ღიმილის“... ავტორია.**

ობიექტურობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ გამსახურდიას ძეგლს გამოკითხულთა უმეტესობა „ცნობს“, ვიდრე აქამე ჩატარებული გამოკითხვების დროს, სხვა ძეგლებს. შეიძლება, მიზეზი ისაა, რომ ფალიაშვილი „ნაკლებად მოძრავი“ ადგილია და ძირითადად, ის ადამიანები ტრიალებენ, ვინც აქვე ცხოვრობს. თუმცა, სამწუხაროდ, ისეთებიც შეგვხვდნენ, რომლებმაც აღნიშნული ძეგლის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ნინოწმინდელ, სომეხ ახალგაზრდა ლანას, 29 წლის უკრაინელი მეუღლე ჰყავს. წლების განმავლობაში უკრაინაში ცხოვრობდნენ, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენი „ნარინჯისფერი“ მეზობლის ტერიტორიაზე ვითარება დაიძაბა, საქართველოში დაბრუნდნენ. ამ ფონზე, ლანას ალბათ „ეპატიება“, დიდი ქართველი მწერლის ძეგლი გრიბოედოვის მონუმენტი რომ ჰგონია.

24 წლის გიორგის სწორი პასუხის გაცემა არ გასჭირვებია, ასევე კავკასიის უნივერსიტეტის 20 წლის სტუდენტს დეა კუსრაშვილსა და 19 წლის სალომეს, ყველაზე „საინტერესო“ პასუხი კი 20 წლის ეკას აქვს — ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელსაც დაეთანხმა შეყვარებული, 21 წლის გიორგი ბედინაშვილი.

ძეგლის ვინაობა არც 35-იოდე წლის ტაქსისტმა იცოდა, რომელსაც მანქანა იქვე ეყენა. 80 წლის იაკობ მელიქიშვილი კი, თურმე ბატონ კონიას სიცოცხლეშიც არაერთხელ შეხვედრია გოგლა ლეონიძესთან ერთად. გოგლას სიძე იყო გეპეი-ს ლექტორი, რომელთანაც ვმეგობრობდი და მან გამაცნო ეს პიროვნებებიო, — ამაყად გვითხრა ბატონმა იაკობმა.

20 წლის ანიმ თქვა — გეგეშიძის ბაღში დგას და ესე იგი, გეგეშიძის ძეგლიაო. არანაირი პასუხი არ ჰქონდათ მის ორ მეგობარს.

30 წლის ანას სწორი პასუხის გაცემა არ გასჭირვებია; 15 წლის რამაზ ხუნწარიამ საერთოდ არ იცოდა, ვისზე იყო საუბარი. 13 წლის ბაჩო ერისთავს და 14 წლის საბა საურს სწორი პასუხი ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ამ მწერლის ნაწარმოებები არ გაუვლიათ, ერთ-ერთმა გვითხრა, ეს ზვიად გამსახურდიას მამის ძეგლიაო — ახალგაზრდამ ამ ძეგლის შესახებ მას შემდეგ შეიტყო, რაც სახლში „ზვიადისტებს“ მოუწიათ მისვლა და ხელში ძეგლის სურათი ეჭირათ.

30 წლის ლევანს სწორი პასუხი დაუფიქრებლად ჰქონდა. 37 წლის ნ-ს კი წარმოდგენა არ ჰქონდა, ვისი ძეგლი დგას „გეგეშიძის ბაღში“. 19 წლის მარნეულელ, აზერბაიჯანელ სტუდენტ ქამრან ჰუსეინოვსაც არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია; არც 16 წლის გიორგი ასანიძემ და 19 წლის ლაშა ტყებუჩავამ იცოდნენ, ვისი ძეგლი დგას ფალიაშვილზე. თუმცა, ახალგაზრდებს გამამართლებელი „საბუთიც“ ჰქონდათ — ერთი ბათუმელია, მეორე კი სამეგრელოდან გახლავთ.




# დედაქალაქის მასშტაბით 50-მდე ქუჩის რეაბილიტაცია იწყება

თბილისის მერის, დავით ნარმანიას განცხადებით, საგზაო სამუშაოების განხორციელების მიზნით, დამატებით 18 მილიონი ლარის ღირებულების სატენდერო სამუშაოები უკვე დასრულებულია.

როგორც ნარმანიამ განაცხადა, 13 ქუჩის რეაბილიტაცია მომდევნო კვირაში დაიწყება, ხოლო დამატებით ქუჩების რეაბილიტაცია ეტაპობრივად განხორციელდება.

ჩატარებული ტენდერების მიხედვით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროსა და მიმდებარე ქუჩებზე სარეაბილიტაციო სამუშაოებს „ბლექ სი გრუპი“ განახორციელებს, სატენდერო ღირებულებით 6 მილიონ ლარამდე, ხოლო მარცხენა სანაპიროსა და მიმდებარე ქუჩებზე სამუშაოები განხორციელდება კომპანია „არენამშენის“ მიერ, სატენდერო ღირებულებით 5 500 000 ლარით.

ასევე, უახლოეს 5 დღეში, სატენდერო სამუშაოების შედეგად, უშუალოდ საგზაო სამუშაოები დაიწყება კოჯრის მიმართულებით გზაზე და დაგეგმილია კოჯრის ცენტრალური მოედნის კაპიტალური შეკეთება: **„ვიდრე ახალი გამოცხადებული ტენდერების შედეგად სამუშაოები დაიწყება, მანამდე არსებული კონტრაქტების ფარგლებში, 11 ქუჩაზე მიმდინარეობს გზების აღდგენის და რეაბილიტაციის სამუშაოები, ხოლო წლის დასაწყისიდან ჩვენ 50-ზე მეტი ქუჩა გავაკეთეთ კაპიტალურად. ჯამში, წლის დასაწყისიდან, პირველი 6 თვის განმავლობაში, დაიხარჯა 27.4 მილიონი ლარი საგზაო სამუშაოებზე, საიდანაც კაპიტალურად გაკეთდა 384 ათასი კვ/მ გზა, ხოლო ორმოების შეკეთება დაახლოებით 300 ათას კვ/მ გზას ჩაუტარდა. ასე რომ, აგვისტო-სექტემბერში ძალიან ინტენსიური საგზაო სამუშაოები განხორციელდება და არსებული პროექტების ფარგლებში, დედაქალაქში საგზაო ნაწილთან დაკავშირებით, რაიმე სახის არსებითი პრობლემები დედაქალაქში აღარ დაგვრჩება“.**

გამომდინარე იქიდან, რომ აგვისტოში დედაქალაქიდან მოსახლეობა გადის, ნარმანიას თქმით, საცობების შექმნის საფრთხე, სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო, ნაკლებად არსებობს: **„გარდა ამისა, სამუშაოების ნაწილი ღამის საათებში იქნება წარმოებული. საგზაო ნაწილის მართვა საპატრულო პოლიციასთან კოორდინაციით განხორციელდება, რომ მოძრაობის დროს რაიმე სახის პრობლემები არ შეიქმნას“.**

*„პირველი“*

# მკვლელობა ლუდის ბოთლით



პატიმარი №0578

ცოდვა გამხელილი სჯობს, ქართველ მამაკაცებს ერთი ცუდი თვისება გვაქვს, ქალი თუ მოგვეწონება, შებმას ვიწყებთ. თუ გამოგვივა, ჩვენზე ბედნიერი არავინაა. თუ, არა — გაბრაზებულები შურისძიებას ვგეგმავთ და არცთუ იშვიათად, ქალებს იმას ვაბრალებთ, რაც არ ჩაუდენია. შედეგად კი...

რუსთავის №17 ზონაში მისულ პატიმარ №0578-ს მლოცველთა კამერაში ყოფნა უნდოდა, მაგრამ იმის გამო, რომ სიგარეტს ვერანაირად შეელეოდა, გვერდითა კამერა აირჩია. მლოცველებთან ყოველდღე შედიოდა და სულიერად მშვიდდებოდა, თუმცა ისიც იცოდა, რომ მლოცველებიც, ის წვეროსანი პატიმრებიც ჩვეულებრივი კრიმინალები იყვნენ და ყველას თავისი ისტორია ჰქონდა. რამდენიმე ნარკოტიკზე იჯდა, ერთი ყაჩაღობაზე, ორი კი მკვლელობაზე... ერთის ამბავი იცოდა, მკვლელობა ნასვამზე ჩაიდინა, რესტორანში ვიღაცებმა ცემა დაუწყეს, ამანაც დანა მოიქნია და ერთ-ერთი მოკლა; აი, მეორეს, დიტოს კი საინტერესო ისტორია უნდა ჰქონოდა — იგი ციხეში ძმის ძმაკაცის მკვლელობის გამო იჯდა. ამ საკითხზე არ საუბრობდა, დილიდან საღამომდე ეკლესიაში იყო დაყუდებული და ლოცულობდა.

„მოკლულის სულისთვის ლოცულობ?!" — ისე, სასხვათაშორისოდ ჰკითხა ერთხელ ეკლესიაში შესულმა №0578-მა. დიტომ ყურადღებით შეათვალიერა და უარყოფის ნიშნად, თავი გაიქნია. ეს უკვე ძალიან საინტერესო იყო. მკვლელი დანაშაულს არ ნანობდა და ამას არც მალავდა იმის მიუხედავად, რომ ამტკიცებდა, ციხიდან რომ გავალ, ბერად უნდა შევდგეო. ბერი კი, რომელიც მკვლელობას არ ნანობს, ცოტა ძნელი წარმოსადგენი გახლდათ.

„შენზე მითხრეს, ძლიერი გამაყუჩებელი აქვს და ეგებ მომცე. კბილი მტკივა გუშინ ღამიდან მოყოლებული, თავიც ამატკია და ასე მგონია, თავი ამიფეთქდება", — დიტო №0578-ის კამერაში შევიდა და პატიმარს სთხოვა გამაყუჩებელი.

„კი, მაქვს. როგორი საშოვნელია აქ ასეთი გამაყუჩებელი, ჩემზე უკეთ იცი. არც მე და შენ გვაქვს ისეთი ურთიერთობა, ეგ წამალი სიხარულით მოგცე და ამისთვის სტიმული მჭირდება. მაგალითად, შენი ისტორია. ვიცი, ძალიან ცუდ რამეს გეუბნები და ეგებ ცუდადაც ვიქცევი, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მკლავს და ამიტომ სხვა გზა არ არის. წამალი ისტორიის სანაცვლოდ", — მშვიდად უთხრა №0578-მა.

„ახლა მაყურებლებთან ჩავალ. ვეტყვი, რაც მითხარი და ნახავ, რა დღეში ჩაგაგდებენ", — დაიმუქრა დიტო და წამოდგა.

„წამალი ჩემია, მაყურებლები ვერაფერს მეტყვიან და შეგიძლია, ციხის „ნაჩალნიკთანაც" მიჩივლო. გპირდები, სანამ წახვალ და მოხვალ, ამ წამალს ან პარაშაში ჩავრეცხავ, ან ვინმეს მივცემ", — №0578 ისევ მშვიდად საუბრობდა.

„კარგი, მომეცი", — დანებდა დიტო.

„აჰა, დალიე, მაგრამ თუ გადავწყვეტ, რომ მატყუებ, პირიდან გადაყლაპულ წამალს უკანალიდან გამოგიღებ, გპირდები", — მუქარა გაურია ხმაში №0578-მა.

„არა, მოგიყვები... თანაც... მინდა, მოვყვე. მე და ჩემს ძმას მაღაზია გვქონდა სოფელში. სოფელში მას შემდეგ დავბრუნდით, რაც ქალაქში ცხოვრება გაჭირდა. შუქი არა, წყალი არა, გაზი არა, ფული არა... არაფერი არა და წავედით მშობლებთან. ნორმალურად მიდიოდა თითქოს ყველაფერი, მაგრამ სოფელში კარგი გამყიდველის პოვნა გაჭირდა. სად არ ვეძებეთ და მერე მეზობლის გოგო გვირჩიეს, იურისტია, განათლებულია, არ შეეშლებაო. როცა მოვიდა, გაოცებისგან პირი დავაღეთ — ულამაზესი იყო, 23-24 წლის იქნებოდა. გათხოვილი იყო, ორი შვილი ჰყავდა და უჭირდა. საქმეს თავი კარგად კი არა, ძალიან კარგად გაართვა. ჩემი ძმა ამბობდა, გათხოვილი რომ არ იყოს, ცოლად მოვიყვანდიო და რა უნდა მეთქვა, მეც მაგ აზრზე ვიყავი. ერთ დღეს კი...

თვის ბოლოს ანგარიშს ყოველთვის ჩემთან ასწორებდა, გვიანობამდე ვმუშაობდით, ასე, ღამის 11-12 საათამდე. მერე კი სახლში ან მე მიმყავდა, ან ქმარი აკითხავდა. რამდენიმე დღით წავედი ქალაქში და ანგარიში ჩემმა ძმამ გაასწორა. ღამე, 12 საათზე ჩასვა მანქანაში და ის საცოდავიც იმ იმედად ჩაუჯდა, რომ ჩემს ძმას თავის ძმაკაცი ახლდა. გავიდნენ სოფლის ბოლოში და გაუპატიურება დაუპირეს. იმან მგელივით გაიბრძოლა, ბოლოს უთხრა, თავს მოვიკლავ და სიკვდილამდე ვიტყვი, რაც მოხდაო. შეეშინდათ ამათ, დატოვეს ღამის ორ საათზე ეს გოგო სოფლის ბოლოში და დაბრუნდნენ მანქანით. ძლივს მოაღწია სახლამდე იმ უბედურმა, ღამის სამ საათზე შეაღო სახლის კარი. მთელი ოჯახი გულგახეთქილი ელოდა, მაღაზიაშიც ყოფილან და როცა ვერ ნახეს, მთელ სოფელში ეძებდნენ. გოგოც იძულებული გახდა, მოეყოლა რაც მოხდა და იცი, რა ქნა მაგის სირმა ქმარმა? ის ბიჭები ნახა და როგორ იყოო, მოაყოლა. იმათ კიდევ შეეშინდათ, სიმართლე რომ ვუთხრათ, მოგვკლავსო და ასე უთხრეს, თავად შემოგვთავაზა სოფლის ბოლოს გასეირნება და ორივესთან სექსი ჰქონდაო...

დანით დასდევდა ქმარი სოფელში ამ გოგოს მოსაკლავად. თითით საჩვენებელი გახდა, ოჯახს ვინ ჩივის, შვილები წაართვეს, არ ანახებდნენ. ჩაკეტეს მამისეულ სახლში, ერთ ოთახში და მშობლებსაც კი რცხვენოდათ მისი გამოჩენის. ერთ წელიწადში ჩემი ძმა ავარიით მოკვდა. ზუსტად იმ ადგილას, სადაც ეს ამბავი მოხდა — სოფლის ბოლოს. მაშინ თქვა იმ გოგომ, ჩემმა ცოდვამ უწიაო და მთელ სოფელს უმტკიცებდა თავის სიმართლეს. იმასაც ამბობდა, ის ბიჭი დაკითხეთ, ეგეც არ გაიხარებს ჩემი ცოდვით და სიმართლეს საფლავში წაიღებსო.

ჰოდა, რამდენიმე თვის შემდეგ, ჩემი ძმის საფლავზე ავედი. ის ძმაკაციც იქ ამოვიდა. უგონოდ დავლიეთ და სწორედ მაშინ მოყვა სიმართლეს. კინაღამ შოკში ჩავვარდი, უდანაშაულო გოგოს სახელი შეურცხვინეს, ოჯახი დაუნგრიეს. სოფელში ჩამოვიყვანე და ყველა ბირჟაზე მოვაყოლე ეს ამბავი. ისიც ვუთხარი, სოფლიდან წადი, თორემ ერთ დღეს ვინმე მოგკლავს-მეთქი. როცა ყველაფერი გაირკვა, ქმრის ნათესავები მივიდნენ გოგოსთან, შეურიგდიო, მაგრამ იმან უარი თქვა, ჩემი არც ადრე სჯეროდა და არც ახლა სჯერა, ვიღაცამ კიდევ რომ რამე უთხრას, იგივეს ველარ გადავიტანო. სამაგიეროდ, შვილების ნახვის უფლებაც მისცეს და თავისთანაც გადაიყვანა.

ამ ამბის შემდეგ ათ წელზე მეტი გავიდა. ნასვამი ვიყავი, იგივე მაღაზიიდან გამოვედი, და მანქანით ჩაგვიარა იმ ქალმა. ხელის აწევით მომესალმა და ამ დროს გვერდიდან მესმის, ნახმარი მყავს ეს ბოზიო. ჩემი ძმის ძმაკაცი ვიღაც უცხოს ებლატავებოდა. წინ დავუდექი და ხასიათი წაუხდა, მერე გამიღიმა, თვალი ჩამიკრა, ვითომ ვატყუებ, შენ რა გენაღვლებაო და... ხელში ლუდის ბოთლი მეჭირა, მთელი ძალით ჩავარტყი თავში. დაეცა, თავი ქვას დაარტყა და კი მომცეს აგერ რვა წელი", — ერთი ამოსუნთქვით დაასრულა ისტორია დიტომ.

„იმ ქალმა მანქანით ჩამიარაო და... გათხოვდა?!" — ჩუმად ჰკითხა №0578-მა.

„არა, არ გათხოვილა, მაგრამ დღეს სახელმწიფო სტრუქტურაში მუშაობს, ერთ-ერთი წარმატებული ქალია, გეცოდინება შენც, მაგრამ რად გინდა, რაში გაინტერესებს?", — გაუღიმა დიტომ.

* * *

ამ ამბიდან რამდენიმე თვეში პატიმარი №0578 პაემანზე გადავიდა და ჯავშნიანი შუშის მეორე მხარეს ოჯახის წევრებს ესაუბრებოდა. საუბარი გაგრძელდა, ყველა პატიმარი გადაიყვანეს, თუმცა №0578-მა ოფიცრებს სთხოვა, ცოტა კიდევ დამტოვეთო და მათაც ღიმილით თავი დაუქნიეს. საუბარში იყო გართული, როცა დაინახა, როგორ გაატარეს მეორე სასაუბრო ოთახისკენ დიტო. თავისიანებთან საუბარს ათ წუთში მორჩა და ვითომ შემთხვევით, მეორე ოთახში შეიხედა, სადაც დიტო ასევე ჯავშნიანი შუშის მეორე მხარეს ვიღაც ქალს ესაუბრებოდა. №0578-მა მოსული მაშინვე იცნო და...

„სწორი უთქვამს, მართლა წარმატებული ქალია", — გაიფიქრა შუშის მეორე მხარეს მჯდომი ქალბატონის დანახვაზე და საკანში წავიდა.

ვერსიანიუსი

## შსს-მ 7 კილოგრამზე მეტი კოკაინი ამოიღო



შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს, ნარკოტრანზიტის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების, შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოდან უკანონო გატანის მცდელობის ბრალდებით, ლიბანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1990 წელს დაბადებული ელიანო კ. სარფის საბაჟო გამშვებ პუნქტში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულის ხელჩანთაში არსებულ სპეციალურ სამალავში და ასევე ამავე ჩანთაში მოთავსებულ ლამინირებულ ფოტოალბომში აღმოაჩინეს ნარკოტიკული საშუალება კოკაინი, რომლის საერთო წონა, ექსპერტიზის დასკვნით, 7 კგ და 348 გრამია. დაკავებული აღნიშნული განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების საქართველოს სატრანზიტო გზით თურქეთის რესპუბლიკაში გატანას ცდილობდა.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოდან უკანონო გატანის მცდელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის 3-ე ნაწილის „ა" პუნქტით და 19-262-ე მუხლის 4-ე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით).

*„ვერსიანიუსი"*

## ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგგარეშე შეხვედრა გაიმართა



შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის დირექტორი შალვა ენუქიძე და დეპარტამენტის წარმომადგენლები ერგნეთში, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის რიგგარეშე შეხვედრას დაესწრნენ.

ქართულმა მხარემ შეხვედრაზე ე.წ. ბანერებითა და რკინის ღობეებით გამოწეული პრობლემები დააყენა. ასევე ხაზი გაესვა აღნიშნულ მონაკვეთზე შეიარაღებული პირების გამოჩენას. საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება მოწადინებულია, რომ ოკუპაციის ხაზის მიმდებარე ტერიტორიაზე შენარჩუნებული იყოს უსაფრთხოება. ამ მიზნით შეხვედრაზე დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს კიდევ ერთხელ შეახსენეს, რომ რეგიონში უსაფრთხოების შენარჩუნების თვალსაზრისით, მიზანშეწონილი იქნება, შეიარაღებულმა პირებმა გადაადგილებისგან შეიკავონ თავი. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ხაზი გაუსვა იმ საკითხს, რომ იზღუდება ადგილობრივი მოქალაქეების გადაადგილება. აღნიშნული ბანერების აღმართვა არის ხელისშემშლელი და ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლის პრინციპებს.

შსს-ს საინფორმაციო-ანალიტიკრი დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შეხვედრაზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის მოსავლის ყოველგვარი პრობლემების გარეშე აღების საკითხი დააყენეს. დროშის გადმოცემასთან დაკავშირებით, დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ რამდენიმე დღეში ცხელი ხაზის საშუალებით ქართულ მხარეს დაუკავშირდებიან და დროშას გადასცემენ.

რაც შეეხება უკანონოდ დაკავებულ კნოლევის მკვიდრს, იგი გათავისუფლებული იქნება და დაუბრუნდება თავის საცხოვრებელს.

*„ვერსიანიუსი"*



1. დედამიწის თანამგზავრი
2. შორენა კოლონკელიძის მამა
3. დედათა მონასტრის წინამძღვარი
4. აგამემნონის ბიძაშვილი და კლიტემნესტრას საყვარელი
5. ტაძარი, სადაც აღმაშენებელი განისვენებს
6. ნადირობა აფრიკაში
7. დაუმუშავებელი ბრილიანტი
8. უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელი
9. იგივეა, რაც შუშა
10. ყურზე მისამაგრებელი საყურე
11. უმაღლესი სასწავლებლის ტიპი
12. ისრაელის სახელმწიფო ენა
13. ათოსის მსახური
14. ხევისბერი გოჩას ვაჟი
15. თამბაქოს შხამი
16. სომხეთის დედაქალაქი
17. ფოლად. ნაჭერი, რომლის კაჟზე ჩამოკვრით ცეცხლს აჩენენ
18. ქართული ჩოგბურთის ვარსკვლავი
19. რომის „ლაბადიანი“ იმპერატორი
20. ვისიმე გაღმერთება, თაყვანისცემა
21. ხელით სატარებელი ორთვლიანი საზიდარი
22. ალ. მაკედონელის კარის მოქანდაკე
23. ნავის ასაღები პატარა ნიჩაბი
24. ინდიელთა ფეხსაცმელი
25. ტაოკლარჯეთის მეფე
26. პიროვნების განგებ დამახინჯებული გამოსახულება
27. მუსლიმანთა მღვდელი
28. ბეისბოლის მსგავსი რუმინული თამაში
29. ჟურნალის საცდელი ნიმუში
30. განხეთქილების ქალღმერთი
31. მუსიკალური ნაწარმოების ფორმა
32. ჯუჯა ხეების გამოზრდის ხელოვნება
33. ქართლის მეფე „აბესალომ და ეთერში“
34. მატარ. შემადგენლობის წასაყვანი მანქანა
35. ავი სული, ეშმაკი
36. დედამიწის ბრტყელი გამოსახულება
37. თბილისის „ვერაგი“ მდინარე
38. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
39. ხორბლის მარცვლის ბუდე
40. ძვლოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
41. მუსიკ. ნაწარმოები ერთი შემსრულებლისთვის
42. ვატიკანის სახელმწიფო ენა
43. ღვინის გამყიდველი
44. ბადე ბილიარდის მაგიდის კიდეზე
45. პლანეტა იუპიტერის ძველქართული სახელი
46. სუსტი ქარი, ნიავი
47. მთა, სადაც აპოლონი და მუზები ცხოვრობდნენ
48. იგივეა, რაც იმედი
49. ზღვის ყველაზე ღრმა ზონა
50. სასულიერო პირი „შუშანიკის წამებაში“
51. დიდი ვენახი
52. ოქროს ან ვერცხლის ძაფი
53. ცნობილი ბელგიელი მევიოლინე
54. შეძახილი კავკასიურ ცეკვებში
55. ბელორუსიის დედაქალაქი
56. ვეზუვის ამოფრქვევით განადგურებული ქალაქი
57. ძვ. სახელმწიფო დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე
58. წყლიანი ადგილი უდაბნოში
59. სოფელი ქედის რაიონში
60. ფრანგი მწერალი ... პრუსტი
61. ჰოლივ. მსახიობი ანჯელინა ...
62. შუბის ნაირსახეობა
63. მოპარული ცხენის პატრონი „გამზრდელში“
64. რეზო ესაძის კინოქალაქი
65. ზღვის დიდი კიბო
66. სამწნილე მცენარე (ხე)
67. აშშ-ის კოსმოსური სააგენტო
68. კანის ჯირკვლების მიერ გამოყოფილი სითხე
69. ძვირფასი დეკორატიული ქვა
70. იაპონიის ოლიმპიური ქალაქი
71. შარდის სახელწოდება ლათინურ ენაში
72. თიხის პატარა ჩასაბერი საკრავი
73. წელიწადის 1/12
74. არაბული ფლეიტა
75. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული განცხადება
76. ცნობილი განგსტერი ... კაპონე
77. ქართველი მხატვარი
78. მიმართვა ინგლისელი ქალიშვილისადმი
79. ბანქოში: წამოძახილი, ნიშნავს უარს თამაშზე
80. იტალიელი ფეხბურთელი და მწვრთნელი
81. მაუგლის გამზრდელი მგელი
82. გიტარის მავთული
83. მდინარე ჩინეთსა და ყაზახეთში, რომელიც ბალხაშის ტბაში ჩაედინება
84. გაზაფხულის ყვავილი
85. ებრაელთა რეპატრიაცია ისტორიულ სამშობლოში

# უძილობა გენებზე მოქმედებს



მეცნიერებმა გაარკვიეს, რომ ერთი კვირის განმავლობაში არასაკმარისი ძილი ადამიანის ასობით გენისა და უჯრედის ცვლილებებს იწვევს, რაც ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედებს, ეს უკანასკნელი კი ჩვენს მოტივაციასა და აქტიურობას განსაზღვრავს. ბოლო პერიოდში ძილის მნიშვნელობაზე ორი ახალი კვლევა ჩატარდა. ბრიტანელი მეცნიერები ძილის, როგორც რეგენერაციული (აღმდგენი) ეფექტის კვლევით დაკავდნენ. თუბინგენის უნივერსიტეტის მკვლევართა გუნდი კი მეხსიერების ფორმირებაში ძილის მნიშვნელობას სწავლობდა. ძილი საჭიროა ზრდის, განვითარების, ნივთიერებათა ცვლისა და იმუნური სისტემისთვის. ის ეხმარება ადამიანს ნასწავლის გადამუშავებასა და უკვე არსებული ცოდნის განმტკიცებაში. ორივე კვლევის შედეგი ამტკიცებს, რომ ერთი კვირის განმავლობაში ძილის ნაკლებობა მოქმედებს გენებზე, რომლებიც უშუალო კავშირშია იმუნურ სისტემასთან, ანთებით პროცესებსა და სტრესულ რეაქციებთან. ეს კვლევა პირველია, რომელმაც ამომწურავად შეისწავლა, თუ რამდენ გენზე ახდენს გავლენას ძილის ქრონიკული ნაკლებობა — ჯამში, 711 გენზე, რაც ადამიანის გენეტიკაში არსებული, დაახლოებით 23 ათასი გენის 3,1%-ია. კვლევის თანახმად, ძილის ნაკლებობა ასევე მოქმედებს გენების აქტიურობაზე, რაც დღისა და ღამის რიტმულობას განსაზღვრავს. სხვა კვლევებით კი, ძილის ნაკლებობასა და ზედმეტ წონას შორის კავშირი უკვე დადასტურებულია.

# სუდოკუმანია

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 4 | | 2 | | 5 | | | |
| 3 | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | 8 | 1 |
| | 9 | | | | 4 | 1 | | 8 |
| | 6 | | | 2 | | | 7 | |
| 5 | | 4 | 3 | | | | 6 | |
| 9 | 7 | | | | | | | 3 |
| | | | | | | | | 6 |
| | | | 5 | | 3 | | 1 | 4 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | | 9 | 2 | | 3 | |
| | | 3 | 8 | | | 2 | | |
| | | | | | | 8 | | 5 |
| | 1 | 2 | | | | | | |
| | 8 | | 5 | 4 | 3 | | 2 | |
| | | | | | | 3 | 8 | |
| 6 | | 4 | | | | | | |
| | | 1 | | | 8 | 6 | | |
| | 9 | | 4 | 1 | | 5 | | |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | | | | 4 | | | | |
| 1 | 8 | | 9 | 2 | | 6 | | |
| | | 4 | 8 | | | | | 7 |
| 7 | | | | | | | | 1 |
| | | 2 | | | | 4 | | |
| 8 | | | | | | | | 9 |
| 6 | | | | | 8 | 1 | | |
| | | 9 | | 7 | 6 | | 3 | 8 |
| | | | | 5 | | | | 4 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 7 | | 4 | | | | | 1 |
| | 8 | 5 | | | | | 9 | |
| | | 6 | 5 | 1 | | | | |
| | | | 3 | | | | 6 | |
| 5 | | | | 2 | | | | 9 |
| | 3 | | | | 4 | | | |
| | | | | 5 | 8 | 9 | | |
| | 5 | | | | | 6 | 4 | |
| 6 | | | | | 7 | | 1 | 3 |

# მოწევას კატების გამო ანებებენ თავს




აშშ-ში სტარტი აიღო ახალმა ანტინიკოტინურმა კამპანიამ, რომლის ინიციატორებიც მწეველ ამერიკელებს სიგარეტისთვის თავის დანებებას შინაური ცხოველების ჯანმრთელობის გამო ურჩევენ. კატების, ძაღლების, ფრინველებისა და სხვა შინაური ცხოველის გამოყენება მავნე ჩვევისგან თავის დასაღწევად ამერიკელებმა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც გამოკითხვების შედეგებს გაეცნენ — რესპოდენტთა დაახლოებით მესამედი მზად იყო, მოწევისთვის თავი დაენებებინა მხოლოდ იმის გამო, რომ თავისი კატა ან ძაღლი ჯანმრთელად ჰყოლოდა. გამოკითხვა დეტროიტელმა სწავლულებმა ჩაატარეს. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში აშშ-ს ბევრ შტატში საკმაოდ მკაცრი შეზღუდვები შემოიღეს მოწევაზე, განსაკუთრებით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, წესრიგის დამრღვევებს კი 250-დოლარიანი ჯარიმის გადახდა უწევთ.

# ალკოჰოლიზმთან ბრძოლაში გენი დაგვეხმარება



ამერიკელმა სწავლულებმა ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტიდან ახალი გენი აღმოაჩინეს, რომელსაც შეუძლია ალკოჰოლიზმთან ბრძოლაში დაგვეხმაროს. კვლევების შედეგად აღმოჩნდა, რომ პლანეტის თანამედროვე მოსახლეობის 1-20%-ს აქვს გენი C21, რომელიც ორგანიზმს ალკოჰოლისგან იცავს. ეს გენი ზრდის ალკოჰოლისადმი მგრძნობელობას და შესაბამისად, იწვევს ზიზღს, — აცხადებენ მკვლევარები. ადამიანის მიერ მიღებული ალკოჰოლის უდიდესი ნაწილი ღვიძლში იშლება, მაგრამ გარკვეული ნაწილი ტვინისკენ მიემართება, სადაც ფერმენტით მუშავდება. სწორედ ახლად აღმოჩენილი გენი განსაზღვრავს ამ ფერმენტის მუშაობას. მისი არსებობის შემთხვევაში, ორგანიზმი სწრაფად და ადვილად შლის ალკოჰოლს, ამიტომ ზოგი თანამეინახეებზე სწრფად თვრება. ამერიკელი სწავლულების მიერ მიღებული შედეგები შესაძლებელს ხდის, შეიქმნას ახალი წამლები, რომლებიც გენეტიკით გამოწვეულ ალკოჰოლურ დამოკიდებულებას მოხსნის.

# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

### ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 1 | 6 | 5 | 4 | 3 | 9 | 8 | 7 |
| 9 | 7 | 5 | 2 | 1 | 8 | 6 | 4 | 3 |
| 4 | 3 | 8 | 9 | 6 | 7 | 2 | 5 | 1 |
| 1 | 6 | 4 | 8 | 9 | 2 | 7 | 3 | 5 |
| 8 | 5 | 2 | 7 | 3 | 6 | 1 | 9 | 4 |
| 7 | 9 | 3 | 4 | 5 | 1 | 8 | 2 | 6 |
| 3 | 4 | 7 | 1 | 2 | 9 | 5 | 6 | 8 |
| 6 | 8 | 9 | 3 | 7 | 5 | 4 | 1 | 2 |
| 5 | 2 | 1 | 6 | 8 | 4 | 3 | 7 | 9 |

### სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 8 | 9 | 6 | 4 | 5 | 7 | 3 |
| 9 | 7 | 5 | 3 | 2 | 1 | 4 | 8 | 6 |
| 4 | 6 | 3 | 5 | 8 | 7 | 2 | 1 | 9 |
| 8 | 5 | 6 | 7 | 4 | 9 | 3 | 2 | 1 |
| 3 | 4 | 1 | 2 | 5 | 8 | 9 | 6 | 7 |
| 2 | 9 | 7 | 6 | 1 | 3 | 8 | 5 | 4 |
| 7 | 8 | 4 | 1 | 9 | 2 | 6 | 3 | 5 |
| 6 | 3 | 2 | 4 | 7 | 5 | 1 | 9 | 8 |
| 5 | 1 | 9 | 8 | 3 | 6 | 7 | 4 | 2 |

### რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 8 | 1 | 5 | 9 | 7 | 6 | 4 | 3 |
| 3 | 9 | 7 | 6 | 4 | 2 | 8 | 1 | 5 |
| 5 | 6 | 4 | 1 | 3 | 8 | 9 | 2 | 7 |
| 4 | 2 | 5 | 8 | 7 | 6 | 3 | 9 | 1 |
| 1 | 7 | 9 | 4 | 5 | 3 | 2 | 8 | 6 |
| 8 | 3 | 6 | 2 | 1 | 9 | 5 | 7 | 4 |
| 7 | 5 | 3 | 9 | 2 | 4 | 1 | 6 | 8 |
| 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 | 4 | 3 | 2 |
| 6 | 4 | 2 | 3 | 8 | 1 | 7 | 5 | 9 |

### ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 7 | 9 | 5 | 4 | 3 | 2 | 8 | 6 |
| 3 | 8 | 6 | 2 | 7 | 1 | 5 | 9 | 4 |
| 2 | 5 | 4 | 9 | 8 | 6 | 1 | 7 | 3 |
| 9 | 4 | 7 | 3 | 2 | 8 | 6 | 1 | 5 |
| 8 | 6 | 2 | 1 | 9 | 5 | 3 | 4 | 7 |
| 5 | 1 | 3 | 7 | 6 | 4 | 9 | 2 | 8 |
| 4 | 3 | 1 | 8 | 5 | 2 | 7 | 6 | 9 |
| 7 | 2 | 8 | 6 | 3 | 9 | 4 | 5 | 1 |
| 6 | 9 | 5 | 4 | 1 | 7 | 8 | 3 | 2 |

მე-10 გვერდი: 1. პერიტონიტი; 2. პირატი; 3. პროცენტი; 4. რენეგატი; 5. ტრიო; 6. პილიგრიმი; 7. რეკლამაცია; 8. ტოლსტოი; 9. დოინჯი; 10. რუანდა; 11. ირავადი; 12. ლეკალო; 13. ობრაზცოვა; 14. სტოა; 15. ერგი; 16. ბრაუნი; 17. რემბო; 18. ანოა; 19. „ტატა“; 20. „ქვინი“; 21. არია; 22. ეიფელი; 23. ნეიტრონი; 24. იბარური; 25. ნუკრი; 26. ტვისტი; 27. მაცა; 28. იზეო; 29. ტლუ; 30. ინდიანა; 31. კაცია; 32. პიზა; 33. ბიუსტი; 34. ვადა; 35. კანაპე; 36. ფო; 37. კურსორი; 38. „აუდი“; 39. ფრაუ; 40. ანოსმია; 41. ტროა; 42. „ნივეა“; 43. ლამა; 44. რური; 45. „აიდა“; 46. კაიაკი; 47. აპო; 48. საქსონია; 49. ინრო; 50. ოლეანდრი; 51. კიუსიუ; 52. აკრიბია; 53. კორიდა; 54. აიეტი; 55. ალიონი; 56. აგა; 57. სკრა; 58. ეტლი; 59. რიწა; 60. ბაია; 61. „ავეო“; 62. სიამი; 63. სალონი; 64. ბის; 65. ჭონი; 66. ვერა; 67. მიაუ; 68. ნოე; 69. ნიჭი; 70. წვერა; 71. ურა; 72. ნატურა; 73. დიანა; 74. „წინწყარო“; 75. სე; 76. ალიბი; 77. გერბი; 78. ბუი; 79. ბაო; 80. სოს; 81. არიგატო; 82. პარანა; 83. „მეტალიკა“; 84. ნერუ; 85. პაბი; 86. პემზა.

მე-12 გვერდი: 1. კრიზისი; 2. რიკული; 3. ზენიტი; 4. საკე; 5. ამნეზია; 6. მალვაზია; 7. ეკვატორი; 8. „ივერია“; 9. აკინაკი; 10. ოზონი; 11. ალებარდა; 12. სკა; 13. ბაქტრია; 14. ქრომი; 15. ტორი; მელვილი; 17. ატოლი; 18. ზრო; 19. „ისკრა“; 20. „ამოკი“; 21. ვაი; 22. ეკი; 23. კოლიზია; 24. ფლორიდა; 25. კასკადიორი; 26. მისიმა; 27. ალაო; 28. კონდორი; 29. სეპტეტი; 30. დიორი; 31. გუნება; 32. ასაკი; 33. ნეპალი; 34. ილიონი; 35. ელადა; 36. კარე; 37. შალე; 38. ურია; 39. დურემარი; 40. ლენა; 41. ოლე; 42. უშუ; 43. ასა; 44. ოზმა; 45. ოდეონი; 46. ალამი; 47. ურუგვაი; 48. აურა; 49. როდეო; 50. აორტა; 51. მალა; 52. ბორდო; 53. ლოუ; 54. ნამიბია; 55. მნე; 56. ანელკა; 57. როტა; 58. კლიო; 59. მენელაე; 60. ბმო; 61. ბუ; 62. არშინი; 63. ტოლმა.

# ნაყინიც „ნარკოტიკია“



ამერიკელი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ნაყინსა და ნარკოტიკს შორის არის რაღაც საერთო. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ადამიანი თანდათანობით ეჩვევა ამ ცივ დესერტს და სულ უფრო მეტი ულუფა სჭირდება, მადა რომ დაიკმაყოფილოს. ექსპერიმენტისას ნორმალური წონის 151 მოზარდი გამოკითხეს, რა საკვებს ანიჭებდნენ უპირატესობას და თან მათი ტვინის აქტივობას აკვირდებოდნენ. აღმოჩნდა, რომ იმ მოზარდებს, ვინც ბევრ ნაყინს ჭამდა, სიამოვნების ცენტრში ტვინის აქტიურობა მნიშვნელოვნად დაქვეითებული ჰქონდა. ეს კი იმაზე მიანიშნებს, რომ პირის ჩასატკბარუნებლის მოყვარულების ტვინი დროთა განმავლობაში იცვლება და ნაკლებმგრძნობიარე ხდება. ერთი სახის პროდუქტის ჭარბად მოხმარება აქვეითებს სიამოვნების შეგრძნებას, რასაც მისგან ვიღებთ. შედეგად, ადამიანმა სურვილი რომ დაიკმაყოფილოს, უფრო და უფრო მეტს ჭამს და ზედმეტ კილოგრამებსაც „იკიდებს“. მეცნიერთა განცხადებით, მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე ალკოჰოლის, თამბაქოსა და ნარკოტიკზე დამოკიდებულების დროს.


ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699



დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

# დაცვის პოლიცია მომხმარებელს სთავაზობს ავტომობილების GPS-GPRS მონიტორინგს

125
დაცვის პოლიცია

GPS-ის სისტემა მანქანის მფლობელს აძლევს საშუალებას, ცოცხალ – LIVE-რეჟიმში განსაზღვროს სატრანსპორტო საშუალების ადგილმდებარეობა, აკონტროლოს გადაადგილების ტრაექტორია და მართოს სატრანსპორტო საშუალებების მარშრუტები და გრაფიკები. უწყვეტ რეჟიმში და ყველაზე ოპერატიულად მიიღოს ინფორმაცია სახლიდან, ოფისიდან გაუსვლელად ინტერნეტის საშუალებით.







GPS-ის მომხმარებელს შეუძლია:

- მანქანის ადგილმდებარეობის, სიჩქარის, გავლილი ტრაექტორიის, მოძრაობის დროის, ძრავის მდგომარეობის (ჩართული/გამორთული) LIVE მონიტორინგი;
- გავლილი მარშრუტის ისტორიის დათვალიერება დღის, თვის, მოძრაობისა და დროის მიხედვით;
- განვლილ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარისა და მანძილის დაფიქსირება;
- სტატისტიკის ამოღება;
- მანქანის დაძვრა-გაჩერების ისტორიის ნახვა;
- საწვავის კონტროლი;
- საკონტროლო ფუნქციების ოპტიმიზაცია.

**GPS-GPRS სისტემის გამოყენებით დაზოგავთ დროსა და თანხას, რაც მნიშვნელოვანია თქვენი ბიზნესისთვის.**

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით დაცვის პოლიციის საინფორმაციო სამსახურს 125 (ზარი უფასოა).

SECURITY POLICE 125 SECURITY POLICE 125

www.125.ge

## გართობა



1. სულ მცირე განსხვავება რამეში
2. თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა
3. პოზიტივის ანტონიმი
4. ორგანიზ. მოწამვლა თირკმ. უკმარის. შედ.
5. ფრანგი მსახიობი მამაკაცი
6. ძროხისთავიანი ქალღმერთი ძვ. ეგვიპ.
7. რაიმე რელიგიის ახალი მიმდევარი
8. განცხ. მომხმარებელთა მისაზიდად
9. ინგლის. სიგრძის საზომი ერთეული
10. განხეთქილების ქალღმერთი
11. რთული მანქანა
12. მცირე ზომის სახუმარო პიესა
13. ქალაქი რუსეთში
14. თანაბარი ანგარიში სპორტში
15. შეჯიბრ. საუკეთესოს გამოსავლენად
16. სასურ., საყვარელი ადამიანი ძვ.ხევსურ.
17. წვრილი ყვითელი ქლიავი
18. რომის ლეგენდარული დამაარსებელი
19. მსხვილკურკოვანი ხილი
20. ფუჭი, უშედეგო
21. ტიბეტური ხარი
22. აფერის ჩამდენი, ყალთაბანდი
23. ალ. ბუვიეს რომანი
24. ბოროტი სული ზოროასტრიზმში
25. ადამის მეუღლე
26. გერმანიის საუნივერსიტეტო ქალაქი
27. ტუზის ქართული სახელწოდება
28. პროგრამირების ენა
29. მიხეილ ჯავახიშვილის მეჩექმე
30. უკრაინ. ხალხური სიმებიანი საკრავი
31. იტალ. მომღერალი ტოტო ...
32. სოფელი ონის რაიონში
33. აღმოსავლური ხორციანი კერძი
34. ქართული მითოლოგიის გმირი
35. უჯრედის არაპირდაპირი გაყოფა
36. ცხენის სხვადასხვაგვარი სვლა
37. შეხლა-შემოხლა, ბრძოლა
38. მაუგლის მეგობარი დათვი
39. პატარა საწნახელი
40. ქართული დასახლება ბამზე
41. ... ვაჩნაძე „კავკასიურ ცარცის წრეში“
42. კოვბოის ქამანდი
43. სოფელი ბაღდათის რაიონში
44. გოლიათი მონადირე ბერძნ.მით.
45. მიუნჰაუზენის ლიტერატ. „მამა“
46. დიდი ჩაქუჩი
47. ნული ქულა კაზინოში
48. „კიას“ მოდელი
49. ქვიშიანი მასივი აფრიკის უდაბნოში
50. ცნობილი ფრანგი მოდელიორი კრისტიან ...
51. ოთახის დეკორატიული მცენარე
52. მდინარე აფხაზეთში
53. ფიფას მესამე პრეზიდენტი
54. ოთარაანთ ქვრივის ვაჟის სახელი
55. ნაპოლეონის მარშალი
56. ქართული ხორბლის სახეობა
57. ქალის ღია საბანაო კოსტიუმი
58. პროფესიონალი მხედარი
59. ჰოლივ. ლეგენდა ... მონრო
60. წყლის საზიდი ჭურჭელი ძვ.საბერძ.
61. ერთსულოვნებისა და თანაზომიერების ქალღმერთი ბერძნ. მითოლოგიაში
62. სერბი პოეტი
63. ნირი, ხასიათი
64. თაქთაქიშვილის ოპერა